დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა მამფორია

წევრები:

ანნა ბედენაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ხატია კაჭარავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნათია ორმოცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244959808

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ხონი
ფაქტობრივი მისამართი	ხონი. პ. კაკაბაძის ქ. N2
საფოსტო ინდექსი	5900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1120
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Khoni1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	
	577673608

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	17/02/2026 MES 0 26 0000177363 ბრძანება - ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7-8 აპრილი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით.
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ხონი. პ. კაკაბაძის ქ. N2 3 შენობა (მიჯრით)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ხონი. პ. კაკაბაძის ქ. N2 3 შენობა (მიჯრით)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ხონი. პ. კაკაბაძის ქ. N2 3 შენობა (მიჯრით)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 17 თებერვლის MES 0 26 0000177363 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 7 და 8 აპრილს განხორციელდა ვიზიტი სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა გამოირჩევა სოციო-კულტურული გარემოს ეფექტიანი ორგანიზებით, რომლის ფარგლებშიც იგი ფუნქციონირებს როგორც თემის საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი. სასწავლო პროცესი წარმატებით არის ინტეგრირებული არაფორმალურ განათლებასთან - კლუბური საქმიანობები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობები ქმნის მრავალფეროვან სასწავლო სივრცეს და ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას. სკოლაში დანერგილი სოციო-კულტურული ინიციატივები, მათ შორის საქველმოქმედო აქტივობები და თემთან პარტნიორობა, აძლიერებს მოსწავლეთა მოქალაქეობრივ ცნობიერებას, სოციალურ პასუხისმგებლობასა და ემპათიას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და პოზიტიური სასკოლო კულტურის ფორმირებას. აღნიშნული მიდგომები განაპირობებს მაღალი ჩართულობის დონეს, პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, განვითარებულ სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს, ასევე მშობელთა ნდობისა და კმაყოფილების ზრდას, რაც სკოლის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="3">მოსწავლეთა რაოდენობა:
------900--------</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☒</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td rowspan="2">ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☐</td><td rowspan="2">ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოსწავლეთა აღნიშნულ რაოდენობას ორ ცვლაში.</td></tr>
<tr></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმითგანსაზღვრულ ვადაში:* • *2027 წლის მაისამდე უზრუნველყოს - უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;* • *2028 წლის მაისამდე განახორციელოს - სკოლის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია ან დემონტაჟის სამუშაოები.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მკაფიოდ გაიმიჯნოს მიზანი, ამოცანა და აქტივობა: მიზანი უნდა ასახავდეს ზოგად სტრატეგიულ ორიენტირს, ამოცანა - მისი მიღწევის კონკრეტულ გზას, ხოლო აქტივობა - იყოს დეტალიზებული, გაზომვადი და პრაქტიკულად განხორციელებადი ქმედება. ამასთანავე, მიზანშეწონილია, თითოეულ აქტივობას ჰყავდეს მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) იყოს დაკონკრეტებული. ასევე სასურველია, აქტივობების ვადები იყოს რეალისტური, რაც

		უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის დროულ და თანმიმდევრულ შესრულებას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2.	,,სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა "	„ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკაში" აღიწეროს პერსონალის ჩანაცვლების ყველა შესაძლო ვარიანტი.
N3.1.2.3.	,,პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით"	მიზანშეწონილია, სკოლამ დროულად უზრუნველყოს 2020 წლის შემდგომ დასაქმებული პირების მიერ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა.
N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ	მიზანშეწონილია სკოლამ დროულად უზრუნველყოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტის მოძიება. მიზანშეწონილია სკოლამ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შემდგომ დროულად განაახლოს სკოლის აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი.
N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესებ უსაფრთხოების მექანიზმი
N3.5.1.1	„სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“	მიზანშეწონილია ბიბლიოთეკარმა მკითხველთა სწრაფი დაკმაყოფილების მიზნით შექმნას წიგნების საძიებო სისტემა, უმჯობესია ელექტრონული ფორმატით.

N3.7.1.2	**სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**	მიზანშეწონილია თანამშრომელთაგან ინფორმაციის შეგროვება მოხდეს წერილობითი ფორმით, სასურველია ეფლოუს გამოყენებით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. (სპორტი).
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საგანში „ მე და საზოგადოება“ სასურველია ელექტრონული რესურსები ჰიპერლინკის სახით იყოს წარმოდგენილი. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. (კომპიუტერული ტექნოლოგიები).
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის**	დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან

	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	გამომდინარე მკაფიოდ აისახოს მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	სასურველია კურიკულუმშიც იქნას შეტანილი ის მრავალფეროვანი დავალება დაწყებით საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). (სპორტი).
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	დაწყებითი საფეხურის ,I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).

N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	*სასურველია დაწყებით საფეხურზე განსაზღვრელი შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან. ასევე სასურველია შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* *(ესთეტიკური აღზრდა)*
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	(დაწყებითი საფეხურისთვის) : მიზანშეწონილია, მე-6 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში დავალების პირობასა და შეფასების კრიტერიუმებს შორის მიმართება დაზუსტდეს. (სახელმწიფო ენა).
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების) სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე მომზადებული, დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ეფექტურად გამოყენების მიზნით, გააქტიურდეს პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობა კათედრაზე,სკოლამ იზრუნოს შეფასების მექანიზმის ეფექტურობისათვის პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).

N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	სასურველია გაითვალისწინონ ,რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან , ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. (ესთეტიკური აღზრდა).
N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი/მუხლი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა ამავე მუხლში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის წამომადგენელი. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).

N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	საბაზო საფეხურზე მე-8 კლასის მუსიკის კურიკულუმში გასათვალისწინებელია დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი),

		საათობრივი ბადით განსაზღვრული საათების რაოდენობასთან მიმართებით. (ესთეტიკური აღზრდა).
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. (სპორტი).
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	საფეხურზე საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. (კომპიუტერული ტექნოლოგიები).
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	სასურველია კურიკულუმშიც იქნას შეტანილი ის მრავალფეროვანი დავალება საბაზო საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). (სპორტი).

N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	საბაზო საფეხურზე X კლასში, საგანში -მოქალაქეობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	*სასურველია საბაზო საფეხურზე განსაზღვრელი შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან. ასევე სასურველია შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* *(ესთეტიკური აღზრდა)*
N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	სასურველია გაითვალისწინონ ,რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან , ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. (ესთეტიკური აღზრდა).
N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სასურველია სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცის იმგვარი მოწყობა, რომლის პირობებში საბაზო საფეხურის მოსწავლეებს თავად ექნებათ საშუალება მოცემულ სივრცეში მიიღონ მონაწილეობა ლაბორატორიულ სამუშაოებში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. (სპორტი).
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	სასურველია კურიკულუმშიც იქნას შეტანილი ის მრავალფეროვანი დავალება საშუალო საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). (სპორტი).
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	*სასურველია საშუალო საფეხურზე განსაზღვრელი შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან. ასევე სასურველია შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* *(ესთეტიკური აღზრდა)*

N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	სასურველია გაითვალისწინონ ,რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან , ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში. (ესთეტიკური აღზრდა).
N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სასურველია სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცის იმგვარი მოწყობა, რომლის პირობებში საშუალო საფეხურის მოსწავლეებს თავად ექნებათ საშუალება მოცემულ სივრცეში მიიღონ მონაწილეობა ლაბორატორიულ სამუშაოებში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ა/წ 13 მაისს დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია N MES 5 26 0000566168 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, შედეგად ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში. ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გასწორებულია ინდიკატორის ნომერი - 3.5.1.1. -ის ნაცვლად, მითითებულია 3.4.1.1.
შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მტკიცებულებებისა და მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას მკაფიოდ, სისტემურად და კონცეპტუალურ დონეზე აქვს გააზრებული საკუთარი ინსტიტუციური იდენტობა, როლი და ფუნქცია როგორც ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არსებით და შინაარსობრივ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტურ პრინციპებთან. დოკუმენტებში იკვეთება თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმების გააზრება, მათ შორის - მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა, ჰოლისტური განვითარება და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება გლობალური მოქალაქეობის კონტექსტში. ხედვა ორიენტირებულია 21-ე საუკუნის უნარების სისტემურ განვითარებაზე (კრიტიკული აზროვნება, კოლაბორაცია, კრეატიულობა, ციფრული წიგნიერება), რაც მიუთითებს, რომ სკოლა სტრატეგიულად ხედავს საკუთარ როლს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაში, არამედ მოსწავლის, როგორც აქტიური მოქალაქისა და კონკურენტუნარიანი სუბიექტის ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ წარმოაჩენს დაწესებულებას როგორც უსაფრთხო, ინკლუზიურ, ღირებულებებზე დაფუძნებულ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს. სკოლის ფილოსოფიაში

გაცხადებული ხედვა წარმოადგენს სტრატეგიულად გააზრებულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ინსტიტუციურ ტრადიციას, თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და განვითარების პერსპექტივებს. „საუკუნენახევრის ისტორიის“ ხაზგასმა უზრუნველყოფს სტრატეგიულ უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობას, რაც ზრდის სკოლის განვითარების სანდოობასა და მდგრადობას. ხედვაში მკაფიოდ იკვეთება პროფილური იდენტობა - STEAM მიმართულებისა და ჰუმანიტარული განათლების სინთეზი, რაც მიუთითებს სკოლის ორიენტაციაზე შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებსა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამასთან, სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს და რეგიონულ ინტელექტუალურ ცენტრს, რაც ასახავს მისი ლიდერობის ამბიციას ადგილობრივ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია ასევე მეტაკოგნიტური მიმართულება - სკოლის ხედვა ორიენტირებულია უწყვეტ განათლებასა და თვითმართვადი შემსწავლელის ფორმირებაზე, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნას.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ხასიათდებოდა მაღალი ხარისხის მონაწილეობითა და ინსტიტუციური ჩართულობით. პროცესში უზრუნველყოფილი იყო ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეთა ჩართულობა, რაც ზრდის დოკუმენტების ლეგიტიმაციასა და პრაქტიკულ სიცოცხლისუნარიანობას. წარმოდგენილი მტკიცებულებები (დირექტორის ბრძანება (N1337408), სამუშაო ჯგუფის ოქმები, განხილვების დინამიკა) ადასტურებს, რომ პროცესი იყო არა ფორმალური, არამედ შინაარსობრივად დატვირთული, არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაფუძნებული და უკუკავშირის მექანიზმებით გამყარებული. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება პოზიტიური მმართველობის პრინციპებს - გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ჩართულობას.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება,რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ინტეგრირებულია ინსტიტუციურ კულტურაში, რაც

დასტურდება მიღებული უკუკავშირის პროცესითა და გადაწყვეტილებების დოკუმენტური ასახვით. კერძოდ, სამუშაო პროცესის ფარგლებში (ოქმი №3) გამოვლინდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და კონსენსუსზე დაფუძნებული მიდგომა, რის საფუძველზეც განხორციელდა შინაარსობრივი კორექტირება - მისიის განსაზღვრებაში ტერმინი „ჰუმანიტარული და კომპიუტერული მეცნიერებები“ ჩანაცვლდა თანამედროვე და ფართოდ აღიარებული ტერმინით „STEAM მეცნიერებები“. აღნიშნული ცვლილება ასახავს არა მხოლოდ ტერმინოლოგიურ განახლებას, არამედ დოკუმენტების მოქნილობასა და განვითარებისადმი ღიაობას. აე პროცესი ადასტურებს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები არ წარმოადგენს სტატიკურ დეკლარაციას, რადგან დაიხვეწა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე. დოკუმენტების ერთხმად მოწონება (ოქმი №3) ადასტურებს საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ერთიანი ღირებულებითი სივრცის ფორმირებას და მნიშვნელოვნად აძლიერებს ინსტიტუციურ ერთიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, სკოლის ფოიეში, რაც სრულად შეესაბამება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ინფორმაციის ღიაობა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების (მშობლები, მოსწავლეები, პარტნიორები) ინფორმირებულობას და ზრდის ნდობას სკოლის მიმართ. ამავდროულად, საჯაროობა ფუნქციონირებს როგორც თვითრეგულაციის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს დეკლარირებულ ღირებულებებსა და პრაქტიკას შორის შესაბამისობის შენარჩუნებას. აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო მეტ ვალიდურობას სძენს მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები, რომლებმაც დაადასტურა, რომ სკოლის ფილოსოფია არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. ინტერვიუირებისას მოსწავლეებმა გამოავლინეს სკოლის მისიისა და ღირებულებების სიღრმისეული ცოდნა; მათ გააზრებულად და არგუმენტირებულად ისაუბრეს სკოლის ფილოსოფიის მნიშვნელობაზე საკუთარი პიროვნული თუ აკადემიური განვითარებისთვის. აღნიშნული მიუთითებს სკოლის ეფექტურ საკომუნიკაციო სტრატეგიასა და იმაზე, რომ სასკოლო კულტურა ორიენტირებულია საერთო ღირებულებების გარშემო საზოგადოების გაერთიანებაზე

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის ოფიციალური სახელწოდებაა: სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა. აღნიშნული ფორმულირება სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ " საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ბრძანება MES 8 25 0001337408 (13.10.2025) — „სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";*
- *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 (20.10.2025) — დოკუმენტების გადახედვისა და განახლების საჭიროების იდენტიფიცირება;*
- *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2 (04.11.2025) — პროექტების მომზადება და საჯარო განხილვების მეთოდოლოგიის განსაზღვრა;*
- *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N3 (28.11.2025) — უკუკავშირის ანალიზი, ცვლილებების ასახვა და დოკუმენტების საბოლოო მოწონება.*
- *სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული ბრძანებით №1336918) წარმოადგენს სისტემურ და სტრუქტურირებულ ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმვის სრულ ციკლს - საჭიროებების იდენტიფიცირებიდან დაწყებული, მიზნების ფორმულირებითა და განხორციელების მონიტორინგით დასრულებული. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, რაც მოიცავს როგორც ფორმალურ (სამუშაო ჯგუფები, საბჭოს სხდომები), ისე არაფორმალურ (კონსულტაციები, ციფრული უკუკავშირის არხები) ფორმატებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა დაგეგმვას განიხილავს როგორც კოლეგიალურ, მონაცემებზე დაფუძნებულ და ინტერესთა გათვალისწინებაზე ორიენტირებულ პროცესს.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032 წწ.) წარმოადგენს გრძელვადიანი განვითარების კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც ორგანულად გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან - მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. დაგეგმვის პროცესში გამოყენებული SWOT ანალიზი უზრუნველყოფს როგორც შიდა რესურსების, ისე გარე ფაქტორების გათვალისწინებას, რაც ზრდის სტრატეგიული მიზნების რელევანტურობასა და მიღწევადობას. განსაზღვრული პრიორიტეტები (STEAM განათლების გაძლიერება, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს განვითარება, 21-ე საუკუნის კომპეტენციების ფორმირება) ასახავს სკოლის სტრატეგიულ ორიენტაციას ხარისხზე, ინოვაციასა და მდგრად განვითარებაზე. დამატებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ინტერვიუს ფარგლებში, დირექტორის მოადგილემ, როგორც პროცესში უშუალოდ ჩართულმა პასუხისმგებელმა პირმა, დეტალურად წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილი ეტაპების პრაქტიკული განხორციელების გამოცდილება. მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქმედებს განსაზღვრული

მეთოდოლოგიური ჩარჩოს სრული დაცვით, რაც კიდევ უფრო ამყარებს დოკუმენტის სანდოობასა და მის პრაქტიკულ შესაბამისობას.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025–2026 სასწავლო წელი) წარმოადგენს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ოპერატიულ ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების თანმიმდევრულ, ეტაპობრივ რეალიზაციას წლიურ ჭრილში. დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ დაგეგმვის პროცესი არ შემოიფარგლება ფორმალური აქტივობების ჩამონათვალით, არამედ მკაფიოდ არის დაკავშირებული სკოლის მისიასთან, ხედვასთანა და ღირებულებებთან, რაც განაპირობებს დაგეგმვის შინაარსობრივ თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრული ამოცანები და აქტივობები პირდაპირ ასახავს სკოლის მისიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, STEAM მიმართულებების გაძლიერება და ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაცია. ამავდროულად, გეგმის სტრუქტურა და დაგეგმილი შედეგები თანხვედრაშია სკოლის ხედვასთან, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა 21-ე საუკუნის კომპეტენციებით აღჭურვასა და მათი გლობალურ გარემოში წარმატებული ინტეგრაციის ხელშეწყობაზე. აღნიშნული თანხვედრა მიუთითებს, რომ სკოლაში სტრატეგიული და დაგეგმვა წარმოადგენს ლოგიკურად გამართულ სისტემას. გეგმის რევიზია (09.12.2025) დამატებით ადასტურებს, რომ სკოლა ეფექტიანად იყენებს თვითშეფასების მექანიზმებს და მიღებულ მონაცემებს გარდაქმნის გადაწყვეტილებებად. ცვლილებების ასახვა დოკუმენტში მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესი არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ორიენტირებული უწყვეტ გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებული

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რაც მიუთითებს დაგეგმვის პროცესის ლოგიკურ თანმიმდევრულობაზე და სტრატეგიულ დოკუმენტთან შინაარსობრივ კავშირზე. წარმოდგენილი აქტივობები, ძირითადად, ასახავს დასახული მიზნების მიღწევის პრაქტიკულ გზებს და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივად განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, დოკუმენტში იკვეთება შესრულების გაზომვადი ინდიკატორების გამოყენების მცდელობა, რაც მნიშვნელოვანია პროგრესის შეფასებისა და შედეგებზე ორიენტირებული მართვისთვის. გეგმაში გაწერილი ვადები, უმეტეს შემთხვევაში, რეალისტურია და იძლევა აქტივობების დროულად განხორციელების შესაძლებლობას, პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრა ხელს უწყობს ფუნქციების გადანაწილებასა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, რაც დადებითად აისახება ინსტიტუციურ მართვაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ გეგმაში იკვეთება რესურსების განსაზღვრის პრაქტიკა, რაც მიუთითებს დაგეგმვის რეალისტურობაზე, თუმცა რიგ შემთხვევებში რესურსების (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) უფრო დეტალიზებული აღწერა გაზრდიდა გეგმის განხორციელებადობასა და სიზუსტეს. დამატებით, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული გაანალიზების მიზნით, ჩატარდა ინტერვიუ სკოლის დირექტორის მოადგილესთან, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შინაარსი და განხორციელების პრაქტიკული ასპექტები. ინტერვიუს პროცესში მიწოდებულ იქნა რჩევები გეგმის დახვეწის მიმართულებით.

რჩევა: სასურველია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მკაფიოდ გაიმიჯნოს მიზანი, ამოცანა და აქტივობა: მიზანი უნდა ასახავდეს ზოგად სტრატეგიულ ორიენტირს, ამოცანა - მისი მიღწევის კონკრეტულ გზას, ხოლო აქტივობა - იყოს დეტალიზებული, გაზომვადი და პრაქტიკულად განხორციელებადი ქმედება. ამასთანავე, მიზანშეწონილია, თითოეულ აქტივობას ჰყავდეს მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) იყოს დაკონკრეტებული. ასევე სასურველია, აქტივობების ვადები იყოს რეალისტური, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის დროულ და თანმიმდევრულ შესრულებას.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*

- *სკოლის დირექტორის ბრძანება №1336918 მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;*
- *2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (რედაქტირებული 09.12.2025);*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმები (№1, №2, №3), სადაც ასახულია დაგეგმვის პროცესში ჩართულობა;*
- *სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ჩამოყალიბებულია ხარისხის მართვის სისტემური მიდგომით, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების სანდოობასა და გამჭვირვალობას. დოკუმენტში გაწერილი მექანიზმები, დაგეგმვის პროცესი ეფუძნება ციკლურობის პრინციპს და მოიცავს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და შემდგომი რეაგირების ეტაპებს. მონიტორინგის სისტემა ხასიათდება მკაფიო პერიოდულობით: სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი ხორციელდება წელიწადში ორჯერ (იანვარსა და ივნისში), ხოლო სტრატეგიული გეგმის შეფასება ხდება მისი მოქმედების ციკლის შუა პერიოდსა და ბოლოს. პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (დირექტორის მოადგილე), რაც ხაზს უსვამს მმართველობითი რგოლის მაღალ პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება მტკიცებულებებით გამყარებულ ანგარიშგებას. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები, რომელთა საფუძველზეც ხდება სტატუსების მინიჭება. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი გულისხმობს შინაარსობრივ ანალიზს, რაც სკოლას ძლევს ინფორმაციას დაგეგმვის ხარისხისა და არსებული გამოწვევების შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება დოკუმენტების კორექტირებაზე. საჭიროების შემთხვევაში, ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ცვლილებების ინიცირება. პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია ანგარიშების საჯაროობით, მათი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებითა და სკოლის ვებგვერდზე განთავსებით. ყოველივე ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია ინსტიტუციურ განვითარებასა და სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებული

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაწესებულების წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის საქმიანობითა და შესაბამისი ოქმებით. პროცესში გამოიყენება შიდა და გარე უკუკავშირის მექანიზმები (მშობელთა ჩართულობა, ექსპერტული კონსულტაციები), რაც უზრუნველყოფს ანალიზს. მონიტორინგი ორიენტირებულია არა მხოლოდ ანგარიშგებაზე, არამედ პრობლემების იდენტიფიკაციასა და კორექტირებაზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებული

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩარჩო და „მონიტორინგისა და შეფასების წესი“ მკაფიოდ განსაზღვრავს ანგარიშგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის სტანდარტებს. დოკუმენტური ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს შედეგების გაზიარების კონკრეტული არხები (ვებგვერდი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა). სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში, გამჭვირვალობა დეკლარირებულია, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების ანგარიშვალდებულებას დაინტერესებული მხარეების წინაშე. ვინაიდან სტრატეგიული მართვის ახალი ციკლი 2025-2026 წელს დაიწყო, მოცემულ ეტაპზე სამოქმედო გეგმის შესრულების დასრულებული ანგარიშის არარსებობა ობიექტური მოცემულობაა. საჯაროობის უზრუნველყოფის სისტემა ინსტიტუციურ დონეზე გამართულია.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პრინციპი, რაც გულისხმობს მონიტორინგის შედეგების გამოყენებას ახალი აქტივობების დასაგეგმად. სამუშაო ჯგუფმა მონიტორინგის ანგარიშების საფუძველზე უნდა მოამზადოს რეკომენდაციები და ინიცირების წერილები გეგმებში ცვლილებების შესატანად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების რეალურ ასახვას სკოლის პრაქტიკულ საქმიანობაზე. ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა: მეთოდოლოგიური მზაობა (როგორ აპირებს შედეგების გამოყენებას) და SWOT ანალიზი (როგორ გამოიყენა კვლევა გეგმის შესაქმნელად). სკოლას გააჩნია ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გამოყენებას დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება №1336918 მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;*
- *სამუშაო ჯგუფის ოქმი №3;*
- *სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება (09.12.2025);*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის დირექტორს დამტკიცებული აქვს სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია/მოვალეობები. სკოლის სტრუქტურაში ცეცხლფარეში სტრუქტურული ერთეული არ ჩანს. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის მხრიდან თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის დაცვასთან შეთანხმება არის დადებული და დაცვა ითავსებს ცეცხლფარეშობას. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ცეცხლფარეშთან გაფორმებული შეთანხმება და ვიზიტის პერიოდშივე შეიტანა ცვლილება სკოლის სტრუქტურაში (გამოაჩინა ცეცხლფარეშის სტრუქტურული ერთეული).



სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, 1 მოადგილის და ბუღალტრისგან. სკოლის დირექტორი მართავს სკოლას. სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შინაგანაწესსა და სკოლის ბიუჯეტს. შეიმუშავებს საშტატო განრიგს. მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ხელშეკრულებას დებს სკოლის თანამშრომლებთან. უფლებამოსილია დადოს გარიგებები. გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს. განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

პედაგოგიურ საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი. ყველა პედაგოგი სარგებლობს ხმის თანაბარი უფლებით.

პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სასწავლო წლის მანძილზე გამოსაყენებელ სახელმძღვანელოთა ნუსხას. ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში. პედაგოგიური საბჭოს მიერ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია 9 კათედრის ფუნქცია- მოვალეობები. სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას ჰყავს აქტიური თვითმართველობა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფარული კენჭისყრით ირჩევენ საკუთარ თვითმართველობას შესაბამისი სასწავლო წლის ვადით. თვითმმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს შინაგანაწესის თაობაზე. ირჩევს წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს. მიმდინარე წელს თვითმართველობის ინიციატივით სკოლაში შექმნილია 4 კლუბი:

- ლიტერატურული კლუბი
- STEAM კლუბი
- ეკო-კლუბი
- ინტელექტუალური კლუბი.

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში დასაქმებულია 78 თანამშრომელი, რომელთაგან 49 მასწავლებელია, ამათგან 7 წამყვანი მასწავლებელია, 1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოწვეული მასწავლებელი (9 სთ.), 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის პედაგოგი და 1 მუსიკის მასწავლებლობის მაძიებელი, რომელსაც მაძიებლობის პროგრამის თეორიული ნაწილი უკვე წარმატებით აქვს დაძლეული, 2 წლიანი სამოქმედო გეგმით ხელმძღვანელობს და საგნის გამოცდა ჯერ არ აქვს ჩაბარებული.

მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, დირექტორის 1 მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 მატ. ტექ. უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მასწავლებელი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 1 ექიმი, 1 ექთანი, 2 ღამის დარაჯი, 4 დამლაგებელი, 1 მუშა და 1 ცეცხლფარეში შეთავსებით. დღის მანძილზე სკოლას იცავს დაცვის სამსახური „ალგანი“.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი eschool ბაზის, პირადი საქმეებისა და სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლას აქვს 2024 წლის 07 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. ზემოთხსენებული დოკუმენტით რეგულირდება კადრების მოზიდვა და შერჩევა, მათი ადაპტაცია სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები და აღნიშნულ პროცესში ჩართული პირების, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელი აქტივობების, ადამიანური რესურსების მართვა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა. ასევე პროფესიული განვითარება, მოტივაციის ზრდის მექანიზმები და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობები. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები. დაბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ ხელი შეეწყოსა საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას და სკოლის მისიის შესრულებას. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ დადგენილ უფლება-მოვალეობებს. ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და ურთიერთთანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის განახლებული სტრუქტურა*
- *საშტატო განრიგი*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები*
- *შეთანხმება ცეცხლფარეშის სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელთან*
- *დაცვის სამსახურთან „ალგანთან“ დადებული ხელშეკრულება.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლას აქვს „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტის მთავარი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. პოლიტიკის მთავარი ამოცანებია:

1.1. დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;
1.2. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;
1.3. დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ასევე პერსონალის მართვისთვის სკოლა ეყრდნობა შემდეგ მარეგულირებელ დოკუმენტაციას: ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები, საშტატო განრიგი, საათობრივი ბადე. ადამიანური რესურსის ეფექტურად მართვაში კი ეხმარება პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ. სკოლა იკვლევს საკუთარი პერსონალის საჭიროებებს. მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით ადგენს შესაბამისი განვითარების გეგმას.

სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის N1 სხდომაზე) განსაზღვრულია:

1. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა
2. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო
3. სამუშაო დროის აღრიცხვა
4. სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი
5. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი
6. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი
7. ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი
8. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის დროს
9. შრომის პირობების დაცვის წესები
10. დასაქმებულის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი
11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი
12. დისციპლინური დევნა
13. დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები

14. დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო და დისციპლინური წარმოების წესი
15. მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი
16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები
17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები
18. სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ცადენის დროს
19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი
20. სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები
21. დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობა
22. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
23. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები
24. სკოლაში ჩაცმულობის წესი.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის მასწავლებელების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოსN174/ნ ბრძანებით დამტკიცებული“ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge კონკურსის ეტაპებია: 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; 2. გასაუბრება;

ინტერიუირების დროს სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვენციული პერსონალის მართვის მაგალითად დაასახელეს ბიულეტინით პედაგოგის ჩანაცვლება. ასევე სკოლის დირექტორმა ყურადღება გაამახვილა „ჩამნაცვლებელ

მასწავლებელზე“ - თუ არსებული კადრის მოძიება ვერ მოხერხდა შიდა კადრში, მაშინ სკოლა რესურსცენტრის ბაზიდან იწვევს მასწავლებელს. სკოლას აღნიშნული პრაქტიკა „ადამინაური რესურსის მართვის“ დოკუმენტში აღწერილი არ აქვს.

სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ: „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკაში“ აღიწეროს პერსონალის ჩანაცვლების ყველა შესაძლო ვარიანტი.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge კონკურსის ეტაპებია: 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; 2. გასაუბრება;

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცვნენ ვაკანსიის თანამშრომლის აყვანის სრულ ციკლს:

1. ვაკანსიის გამოცხადების ბრძანება
2. გამოქვეყნებული განცხადება
3. საკონკურსო კომისიის ოქმი
4. შეფასების კრიტერიუმები
5. თანამშრომლის დანიშვნის ბრძანება.

სკოლის თანამშრომლებთან სამი წელი ზედიზედ ფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება, ხოლო შემდგომ უკვე ხდება უვადო ხელშეკრულება.

მაგალითად, 2026 წლის მარტში სკოლამ გამოაცხადა ასისტენტ მასწავლებლის ვაკანსია. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა ექსპერტების მიერ ვაკანსიის გამოცხადების ბრძანებები და კომისიის ოქმები. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და

მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.
სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. ასევე ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ცნობა ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის.
პირად საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:
   ა) განაცხადება;
   ბ) CV;
   გ) პირადობის მოწმობის ასლი;
   დ) დიპლომის ასლი.

2. "ზოგადი განათლების კანონის" თანახმად - (მუხლი 331. პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. საქართველოს 2020 წლის 17 მარტის კანონი №5755) 2020 წლის შემდგომ მიღებულ თანამშრომლებს, ევალებათ შემდეგი ცნობის წარმოდგენა - ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ; პედაგოგთა ნაწილს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა არ ჰქონდა წარმოდგენილი. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა, 2020 წლის შემდგომ მიღებულ თანამშრომლებს დაავალოს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენა.**

   ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მასწავლებელთა და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები

დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, მასწავლებელთა კვალიფიკაცია კანონშესაბამისია. სკოლაში დასაქმებულია 78 თანამშრომელი, რომელთაგან 49 მასწავლებელია, ამათგან მაძიებელი -1, წამყვანი _ 7, უფროსი - 38, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მასწავლებელი - 3, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოწვეული მასწავლებელი - 1. ადგილზე ვიზიტის დროს პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ყველა თანამშრომლის დაკავებული თანამდებობა კვალიფიკაციის შესაბამისია. მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით, რასაც მოწმობს პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და თვითმართველობის აქტიური საქმიანობა.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა გუნდური მუშაობის სულისკვეთება. თანამშრომლები საუბრობდნენ სკოლაში შექმნილ ისეთ სამუშაო გარემოზე, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განივითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. მსჯელობის დროს დასახელდა მათივე ინიციატივით დაორგანიზებულ არაერთი პროექტი. მაგალითად,

1. "ETwinning"-ის პროექტის ფარგლებში ბორჯომის რაიონის ბალანთას საჯარო სკოლაში (სომხურენოვანი სკოლა) განახორციელეს ერთობლივი პროექტი „წელიწადის დროები". პროექტში სულ 3 სკოლა იყო ჩართული (ხონის N1 საჯარო სკოლა, სოფ. ნახახულევის სკოლა და ბორჯომის რ-ნის ბალანთა სკოლა). პროექტის მიზანი იყო სკოლების დამეგობრება, ქართულ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, ერთმანეთის ტრადიციების გაცნობა.

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა აქტიურად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების განსაზღვრასა და პროფესიულ განვითარებაზე:

- სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას
- სკოლა გაწევრიანებულია საქართველოს პროფესიულ გაერთიანების კავშირში.

- ყოველწლიურად ატარებს პერსონალის საჭიროებების კვლევას.
- აანალიზებს კვლევის შედეგად მიღებულ შედეგებს.
  მიღებული შედეგების გათვალისწინებით აორგანიზებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს. მიმდინარე 2025-2026 სასწავლო წელს პროფ. კავშირებთან თანამშრომლობით ჩატარდა შემდეგი შეხვედრები: დიფერენცირებული სწავლა-სწავლება; შეფასების სისტემა.
- მასწავლებელბი ესწრებიან „მასწავლებლის სახლის“ მიერ დაორგანიზებულ ტრენინგებს.
- სასწავლო წლის მანძლზე მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და არიან ერთმანეთის „კრიტიკული მეგობრები“.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები სკოლაში ქმნის გუნდურ და მონაწილეობით გარემოს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ სამუშაო შეხვედრებზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიმსის პლატფორმას.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შინაგანაწესი

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *2025-2026 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საკონკურსო კომისიის ოქმები*
- *პედაგოგთა პირადი საქმეები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის მიხედვითაც სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:

ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
გ) შემოწმების განხორციელება;
დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.დანარჩენი პროცესები შემოწმებისათვის შეირჩევა პასუხისმგებელი პირი. მის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები.

ვიზიტის დროს დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებამ გამოკვეთა პროფესიული საჭიროებების განსაზღვრის რამდენიმე მექანიზმი - მონიტორინგი და ურთიერთდასწრება. კერძოდ, სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ყველა კათედრის წარმომადგენელები N2 სხდომაზე აკეთებენ ურთიერთდასწრების განრიგს. განრიგის

მიხედვით წლის მანძილზე ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე. დასწრების შემდგომ თვითრეფლექსია და კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა ხდება. მიმდინარე სასწავლო წელს ადმინისტრაციის წარმოადგენლებმაც გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მაგალითად,

- ფინანსური აკადემიის შემოთავაზების მიხედვით სკოლის საქმისმწარმოებელმა გაიარა ტრენინგი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.“
- იმავე უწყებაში გაიარა სკოლის ბუღალტერმა ხაზინასთან, შესყიდვებთან დაკავშირებული ტრენინგი.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლამ 2025 წლის 25 დეკემბერს დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. დებულების თანახმად, სკოლა გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შეიმუშავებს გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ ზრდას.სკოლაში საჭიროებების დადგენის მექანიზმია:

- მასწავლებელთა თვითშეფასება
- უკუკავშირის საფუძველზე სხდომაზე მასწავლებელთა საჭიროებების განხილვა
- განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება. მაგალითად,

1. თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება
2. სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება
3. მასწავლებელთა გადამზადება, საგნობრივი გამოცდისთვის მომზადება და ა.შ.

სკოლის მხრიდან დაგეგმილ საქმიანობას შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლები პერიოდულად უწევენ მონიტორინგს. შემოწმება ხდება როგორც სტრუქტურული ერთეულებისთვის წინასწარ ცნობილ პერიოდში, ასევე არაგეგმიურად. არაგეგმიური შემოწმება, ძირითადად, ხორციელდება სემესტრში სამჯერ. დამლაგებელთა საქმიანობა მოწმდება განრიგის მიხედვით ყოველდღიურად.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას. ადგილზე ვიზიტის დროს დირექციამაც და პედაგოგებმაც კარიერული ზრდის რამდენიმე მიმართულება დაასახელეს:

1. ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება (კათედრის სხდომები, გაკვეთილებზე დასწრება ..)
2. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან საგანმანათლებლო სიახლეების დროულად მიწოდება
3. მასწავლებელთა ინიციატივების მხარდაჭერა (მოსმენა, უკუკავშირი, საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსების გამოყოფა)
4. მონაწილეობა ტრენინგებში, ეროვნულ, რეგიონულ თუ სხვა სახის სამუშაო შეხვედრებში.

ინტერვიუირების დროს დასახელდა კარიერული ზრდის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

- მიმდინარე 2025-2026 სასწავლო წელს ხელოვნების მასწავლებლობის მაძიებელი მასწავლებელი გახდა უფროსი მასწავლებელი;
- 2025-2026 სასწავლო წელს მატ. ტექ. უზრუნველყოფის მენეჯერი აბარებს მათემატიკის საგნობრივ გამოცდას.
- სპორტის მასწავლებელი ემზადება დაწყებითი საგნების გამოცდის ჩასაბარებლად.
- 2 მასწავლებელი აბარებს სპეც. მასწავლებლობის გამოცდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. HR პოლიტიკის მუხლი N18 (ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია) სწორედ ახალი კადრის საადაპტაციო პროცედურებს აღწერს.ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ სკოლა ახლადმიღებული თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით რამდენიმე ნაბიჯს დგამს:

- კათედრის ხელმძღვანელი ახლად მიღებულ თანამშრომელს აცნობს კათედრის წარმომადგენლებს.
- კათედრის წევრები მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ თანამშრომელთან და იგებს ინფორმაციას თანამშრომლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;

სასკოლო სივრცის დათვალიერებისას გადამოწმდა საერთო სარგებლობის სივრცეები, რომელიც, პედაგოგების თქმით, მათთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას - კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია

საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლის ახალი თანამშრომელი ეცნობა სკოლის მისიას, ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესს.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს პერსონალის კარიერული ზრდის ერთ-ერთ საფუძვლად პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერა დასახელდა.

პედაგოგებმა დაასახელეს არაერთი ინიციატივა, რომელიც ხორცშესხმულ იქნა სკოლის მხრიდან. მაგალითად,

1. კონკრეტული საჭიროებების მიხედვით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები.
2. მრავალფეროვანი, ინოვაციური პროექტები, რომელიც ზრდის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მოტივაციას, ჩართულობის ხარისხს. მაგალითად,

- დაწყებითი საფეხურისა და ხელოვნების მასწავლებლების ინიციატივა „არტ-შემოდგომა“, რომლის ფარგლებში მოხდა მშობელთა ჩართულობის გაზრდა, საშემოდგომო თემატიკის დამუშავება.
- ხელოვნების პედაგოგმა პირველი დღის დაორგანიზების მიზნით წარადგინა ინიციატივა - პირველკალსელები მიეყვანათ სკოლაში ორსართულიანი ავტობუსით (70 მოსწავლე). დირექციამ მიმართა „ელიტ ელექტრონიქსს“ ორსართულიანი ტრანსპორტის გამოყოფის თაობაზე.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2025-2026 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება*
- *მიმოწერა "ელიტ ელექტრონიქსთან"*
- *HR პოლიტიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას 2025 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დირექციამ ადგილზე ვიზიტის დროს ისაუბრა საქმიანობის დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე. ექსპერტები ადგილზევე გაეცნენ გაკვეთილზე დასწრების ოქმებს და გაცემულ რეკომენდაციებს - 2025-2026 სასწავლო წელს სკოლის მთავარ პრობლემად გამოიკვეთა დიფერენცირებული სწავლება. არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დირექციამ ტრენინგთა ციკლი დაგეგმა (პროფ. კავშირთან თანამშრომლობით), რომელსაც თავადაც დაესწრნენ და პედაგოგებიც. სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის პერსონალის საჭიროებების კვლევის ინსტრუმენტი და ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ პერსონალის კვლევას პერიოდულად ახორციელებენ.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს თავმოყრილი „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები". ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციამ გამოჰყო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი პროცესები და მათ მართვაზე ისაუბრა:

მმართველობითი პროცესები

1.სტრატეგიული დაგეგმვა;

2. წლიური დაგეგმვა;

3. ხარისხის უზრუნველყოფა (მმართველობითი პროცესები);

ძირითადი პროცესები

1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება;
2. უსაფრთხო , გამართული სასწავლო პროცესი;
3. საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის მინისტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება;
4. ფინანსური მართვა

დამხმარე პროცესები

1.უსაფრთხოების წესების დაცვა და მონიტორინგი;
2.სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და მონიტორინგი;
3. სასწავლო რესურსები;
ა) არსებულის მიზნობრივად გამოყენება;
ბ) გეგმაზომიერად შევსება და განახლება;
4. დამატებითი დაფინანსების წყაროს მოპოვება-განკარგვა/მონიტორინგი/ანგარიში;
5. სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება;
6. კვების პუნქტის არსებობა;

7. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პროცესის მართვაში განსაკუთრებული როლი სკოლის ცხრავე კათედრას მიუძღვის, რაც ინტერვიუირების დროს თვალნათლივ გამოიკვეთა.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში გადაწყვეტილებების გასაჩივრება და საჩივრის განხილვა კანონმდებლობის შესაბამისად ხდება.სკოლას 2025 წლის 08 დეკემბერს დამტკიცებული აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“. დოკუმენტში დეტალურადაა განხილული საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, განხილვის ვადები, უარის თქმის საფუძველი და სასკოლო საზიგადოებისთვის წესის გაცნობა. გარდა ამისა სკოლას 2025 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“. მუხლი N6 კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრებას ეხება. გასაჩივრების წესი აღწერილია სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესში (მუხლი 22)., რომელიც განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე სასწავლო წლის დასაწყისში შინაგანაწესი ეცნობება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს. სკოლის დირექციის განმარტებით, არასასურველი გადაწყვეტილებისა და თუ არასასურველი ფაქტის გასაჩივრება ხდება სამეურვეო საბჭოში. გასაჩივრების კონკრეტული ფაქტი, მათივე თქმით, უახლოეს პერიოდში არ მომხდარა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს:

1. სკოლის შინაგანაწესი
2. მანდატურის სამსახური

3. მრჩეველთა საბჭო
4. 59 კამერა (სულ 60 კამერაა, თუმცა 1 არ მუშაობს) - აქედან 17 გარე კამერა.
5. სამეურვეო საბჭო
6. დისციპლინური კომიტეტი
7. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“.

შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. ინტერვიუირებით გადამოწმდა სკოლის წარმომადგენლებთან გასაჩივრების პროცედურის ცოდნა.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“.*
- *შინაგანაწესი*
- *განცხადების და საჩივრის განხილვის წესი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები. კერძოდ,

1. საინფორმაციო დაფა
2. სოციალური ქსელი - სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა- khoni1@mes.gov.ge

4. Teams-ის პლატფორმა
5. ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

1. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოება, როგორც წევრები, ჩართულია სკოლის მართვის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სამეურვეო საბჭოში სკოლის 6 მშობელია არჩეული, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეც მშობელია. სკოლის დისციპლინარულ კომიტეტში 2 მშობელია წარმოდგენილი. მშობლის ინფორმირების საშუალებებია:

1. მშობელთა კრება
2. თიმსის პლატფორმა ონლაინ შეხვედრისთვის
3. მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრა
4. კლასის დახურული ჯგუფი (სოციალური ქსელი)
5. ელექტრონული ჟურნალი
6. ელ.ფოსტა
7. ტელეფონი
8. ყოველდღიური კომენტარი (I-V კლასის I სემესტრი)

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *სკოლის ვებ-გვერდი*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი*
- *განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი*
- *ძირითადი და დამხმარე მმართველობითი, ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას:

1. სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და გაგზავნილია წერილი 2026 წლის 08 აპრილს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან/სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
2. სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა შედგება ერთმანეთთან მიჯრით მიერთებული სამი კორპუსისგან. 2023-2025 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლის მე-2 და მე-3 კორპუსებს, ხოლო სკოლის 1-ელი კორპუსი რჩება სარეაბილიტაციოდ. სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N007931725. დასკვნის თანახმად,

შპს „საბა კონსტრაქშენის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდა მე-2 და მე-3 კორპუსებს. რაც შეეხება სკოლის N1 კორპუსს, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეაბლიტაციოა, სრულად იზოლირებულია მე-2 და მე-3 კორპუსებისგან და საფრთხეს არ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, სკოლამ მიმართა ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის N1 კორპუსის სასწავლო პროცესში ჩართვის თაობაზე, თუმცა ვიზიტის პერიოდში უკუკავშირი არ ჰქონდა მიღებული.

სკოლაში ამ ეტაპზე ირიცხება 683 მოსწავლე, რომელიც გადანაწილებულია 31 ფინანსურ კლასში. მე-2 და მე-3 კორპუსებში არის სულ 22 საკლასო ოთახი, მათ შორის ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები. სწავლება მიმდინარეობს 2 ცვლაში. N1 კორპუსის რეაბილიტაციის/დემონტაჟისა და ახალი კორპუსის აშენების შემთხვევაში სკოლას დაემატება 16 საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი და შესაძლებლობა მიეცემა, 1 ცვლაში გადავიდეს.

3. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად, ვერ წარმოადგინა სკოლის ვერც აზომვითი ნახაზი და ვერც ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
4. წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური.
5. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობის განრიგი.
6. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში მანდატურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია მრჩეველთა საბჭო.
7. სკოლას 2025 წლის 08 დეკემბერს დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, სადაც დეტალურადაა გაწერილი, რა წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას, მათი დაცვის პრინციპები სხვადასხვა მოცემულობით (პირადი საქმის წარმოება, ელ. ჟურნალი, ვიდეოთვალთვალი, ვაკანსიის გამოცხადება და ა.შ.), წვდომის უფლების მქონე პირები, მონაცემთა დაცვის მონიტორინგი.
8. სკოლას ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან ჰყავთ უფლებამოსილი პირი განსაზღვრული, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლას ობიექტურად აქვს შეფასებული არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. კერძოდ, მე-3 სტანდარტის 3.5.1.1 ინდიკატორის აღწერილობით ნაწილში იდენტიფიცირებულია N1 შენობის მძიმე ფიზიკური მდგომარეობა (საჭიროებს

რეაბილიტაციას/დემონტაჟს), რის აღმოსაფხვრელადაც დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში, იმავე ინდიკატორის ქვეშ, გაწერილი აქვს რელევანტური აქტივობები. საკითხთან დაკავშირებით გაგაზავნილი აქვს წერილი მერიაში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შენობა-ნაგებობის მდგომარეობა უკავშირდება მატერიალურ რესურსს (ინდიკატორი 3.5.1.1), N1 შენობის რეაბილიტაცია/დემონტაჟისა და მისი ექსპლუატაციის საკითხი მიემართება და უნდა განიხილებოდეს 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნების ჭრილში, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის არსებობისა და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებას.

სკოლის მიერ აღნიშნული გარემოებისა და შესაბამისი სამოქმედო ნაბიჯების 3.5.1.1 ინდიკატორთან დაკავშირება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფასდება, როგორც თვითშეფასების პროცესში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი/მეთოდოლოგიური უზუსტობა ინდიკატორების კლასიფიკაციის კუთხით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს და არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას: გააზრებული ინფრასტრუქტურული და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევა; საკითხი არ დაუტოვებია რეაგირების მიღმა; შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს პრობლემის მოგვარების (რეაბილიტაცია/დემონტაჟი) ადეკვატური და ქმედითი აქტივობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ მიიჩნევს ტექნიკურ ცდომილებას სტანდარტის მოთხოვნათა არსობრივ დარღვევად და რელევანტურად აფასებს შესაბამისობის გეგმაში ასახულ აქტივობას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასების მიზნებისათვის, N1 შენობასთან დაკავშირებული მოცემულობა და დაგეგმილი აქტივობები შინაარსობრივად ფასდება 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით.

სკოლას მიეცა **რჩევები** შემდეგი მიმართულებით:

1. უზრუნველყოს შრომის უსაფრთოების სპეციალისტის მოძიება.
2. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შემდგომ განაახლოს სკოლის აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად - უფლებამოსილი ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას გეგმავს ერთი წლის პერიოდში 2027 წლის მაისამდე, ხოლო სკოლის პირველი კორპუსის რეაბილიტაციის ან დემონტაჟის სამუშაოების ჩატარებას შესაბამისი სამსახურების მიერ ორ წლამდე პერიოდში, 2028 წლის მაისამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმითგანსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მაისამდე უზრუნველყოს - უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, ხოლო 2028 წლის მაისამდე განახორციელოს - სკოლის პირველი კორპუსის რეაბილიტაცია ან დემონტაჟის სამუშაოები.

ინდიკატორი 3.4.1.1 ნაწილობრივად დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი სამედიცინო პერსონალის კომპეტენცია და პაციენტის უფლებები.
სკოლას გაფორმებული აქვს, კანონის შესაბამისად, ხელშეკრულება ექიმთან და ექთანთან, რაც ამჟამადაც და მომავალში საშუალებას მისცემს სკოლას ბრძანება N41/ნ/01-23/ნ დანართ 1.2-ის თანახმად (მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობა) მომსახურება გაუწიოს 800 და მეტ მოსწავლეს.
ადგილზე ვიზიტისას ექიმთან ინტერვიუირების დროს დადგინდა, რომ ექიმი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კანონის შესაბამისად ემსახურება სკოლის თანამშორმლებსა და მოსწავლეებს, აწარმოებს შესაბამის დოკუმეტნაციას:

- აწარმოებს წამლების მიღების ჟურნალს,
- აკონტროლებს წამლების ვადებს,
- პაციენტებს ატარებს ჟურნალში,
- ცალკე აქვს წარმოებული სპეციალური საჭიროების მოსწავლეთა სია
- ატარებს მონიტორინგს თვეში ერთხელ პედიკულოზზე, თანკბილვასა და ფრჩხილების სისუფთავეზე
- მონიტორინგს უწევს ყოველდღიურად ჰიგიენურ-სანიტარულ ნორმებს (4 დამლაგებელს).

სკოლის ექიმი და ექთანი აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან მთელ სასკოლო საზოგადოებასთან. მიმდინარე წელს მონწილეობა მიიღეს პროექტში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“.
ექსპერტებმა ვიზიტის დროს სკოლის ბუღალტერთან შეამოწმეს მედიკამენტების შესყიდვა. სკოლამ ვერ წარმოადგინა მედიკამენტების მიმდინარე შესყიდვები, რის გამოც სკოლას აქვს **ხარვეზი**: შესაბამისად, სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლამ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტში სავალდებულო მედიკამენტების შესყიდვა „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის

სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება N41/ნ/01-23/ნ დანართ N2.1 თანახმად.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესრულების მტკიცებულებები, კერძოდ: ბაზრის კვლევა მედიკამენტების შესყიდვასთან დაკავშირებით, მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შეყიდვის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მიიჩნია რელევანტურად.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მართალია, ცალკე დოკუმენტის სახით არ აქვთ შემუშავებული წესრიგის დაცვის მექანიზმები, თუმცა ამ მიმართულებით სკოლის უსაფრთხოებას ცხადყოფს შემდეგი ფაქტორები:

1. სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში 59 ვიდეოკამერაა დამონტაჟებული (მათ შორის 17 გარე კამერაა), რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, რომლის მონიტორი განთავსებულია მანდატურის ოთახში და მასზე წვდომა მხოლოდ მანდატურებს აქვთ.
2. კანონის თანახმად, გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟდეს არანაკლებ 2 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, ხოლო სათადარიგო გასასვლელების არსებობის შემთხვევაში 1 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა თითო გასასვლელზე. აღნიშნული გარე კამერები N1143 ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პარამეტრებს/მახასიათებლებს:

ა) კამერის გარჩევადობა: 3 მეგაპიქსელი(2048X1536 QXGA);

ბ) მგრძნობელობა: 0 ლუქსი აქტიური განათების შემთხვევაში (0.1 აქტიური განათების გარეშე);

გ) დაფარვის ზონა: შესაძლებელი უნდა იყოსაზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების შენობის ძირითადი და სათადარიგო შესასვლელების 20-მეტრიანი რადიუსის ფართობის თვალთვალი;

დ) ჩანაწერის გარჩევადობა: არანაკლებ 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA), არანაკლებ 5 კადრი წამში. დღე-ღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი უნდა იძლეოდეს ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას;

ე) სერტიფიკატი : აპარატურას უნდა გააჩნდეს ISO სერტიფიკატი.

სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებული კამერების რაოდენობა კანონშესაბამისია.

ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. დარღვევებზე მანდატური, დირექცია, მასწავლებლები ახდენენ შესაბამის რეაგირებას, რაც ხელს უწყობს დარღვევების შემცირებას. სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას მიეცა **რჩევა**, შეიმუშაოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ (ანონიმურობის დაცვით):

ა) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სატელეფონო კონსულტაციით

ბ) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან კონსულტაციით მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით.

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით სკოლაში არაერთი პრევენციული ღონისძიებები ტარდება. სკოლის დირექცია და მასწავლებლები მოსწავლეებისთვის ატარებენ შემდეგ საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიებს:

ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ

გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ

დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა ფორმა გამოუყენებიათ:

ა) დისკუსიები

ბ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსი

გ) სპორტული შეჯიბრებები

სკოლა მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს აორგანიზებს:

ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში

ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია

გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქ ოლოგიაზე

დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე

ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებული არ არის.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. ადგილზე ვიზიტის დროს სასკოლო სივრცის დათვალიერებისას გადამოწმდა სრული სასკოლო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მოწესრიგებულობა. სკოლას ჰყავს 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით. სკოლის ექიმის მიერ ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები. სკოლა ყოველ ახალ მოსწავლეს და მის მშობელს აცნობს მის უფლებებსა და თავისუფლებებს:

- გამოხატვის, შეკრების, გაერთიანების, რწმენის თავისუფლებაზე

- ნეიტრალურობის პრინციპისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე
- პირადი ცხოვრების ხელშეუხლებლობაზე.

სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი (რესურსცენტრიდან).
მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები დაცულია სკოლის საქმისმწარმოებლის ოთახში ყველასათვის ხელმიუწვდენელ ადგილას, ასევე, eSchool-ში, eFlow-ში. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონულ ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს.
სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით 2025 წლის 08 დეკემბერს დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, სადაც დეტალურადაა საუბარი სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. ასევე სკოლას გამოყოფილი და დამტკიცებული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.
აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს რა პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მათ დაცვას, მონაცემებზე წვდომას და ა.შ., ამით უზრუნველყოფს, ზოგადად, სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობასა და დაცულობას. ასევე სკოლა კანონის დაცვით აზიარებს/ამუშავებს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს: მარეგულირებელი დოკუმენტაცია იქნება ეს, თუ საგნობრივი შეფასების რუბრიკები, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მიღწევები, თუ ინიციატივები.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება პერიოდულად მოწმდება. პერიოდულობა განსაზღვრულია კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის წესსა თუ დებულებაში.
მაგალითად:

1. მატ. ტექ. უზრუნველყოფის კოორდინატორი ყოველდღიურად ათვალიერებს სასკოლო გარემოს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ქმედით ნაბიჯს დგამს.
2. თუ დარაჯი და დამლაგებელი აღმოაჩენს დარღვევას, აცნობებს მატ. ტექ. უზრუნველყოფის კოორდინატორს.
3. მანდატურები ყოველდღიურად ამოწმებენ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

მიღებულ ინფორმაციას იყენებენ სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლამ სწორედ ამგვარი შემოწმების შედეგად და მშობელთა ჩართულობით მოაგვარა რამდენიმე სახის პრობლემა: მაგალითად, შიდა დარბაზის ფანჯრები არ იყო დაცული, ბავშვს შეეძლოს დარბაზიდან სკოლის შიდა ტერიტორიაზე მოხვედრა. მშობლის ჩართულობით დარბაზის ფანჯრებზე დამცავი ბადეები გაკეთდა. სკოლა ასევე აპირებს დამცავი ბადეების გაკეთებას ბიბლიოთეკისთვის. სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას არ აქვს გაწერილი მექანიზმი, რომლის მიხედვითააც სკოლის მატ. ტექ. უზრუნველყოფის კოორდინატორი მოქმედებს.

სკოლას მიეცა **რჩევა:** შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა
- წერილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის შენობის ფართია-5834,7კვ. მ. სკოლა შედგება ერთმანეთთან მიჯრით მიერთებული სამი კორპუსისაგან მე-2 და მე-3 კორპუსები სრულად რეაბილიტირდა 2023-2025 წლებში. სკოლის პირველი კორპუსი სარეაბილიტაციოა. საკითხთან დაკავშირებით სკოლას საკითხი დაყენებული აქვს შესაბამისი უწყების შინაშე. განახლებული კორპუსების პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, სასადილო ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, დარაჯების ოთახი. სპორტული დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადითა და კალათბურთის ფარებით. სპორტ-დარბაზს აქვს გასახდელები. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სველი წერტილები. მესამე სართულზე: საკლასო ოთახები, ქიმია-ბიოლოგიის, კომპიუტერული ლაბორატორიები, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, მანდატური.
ამჟამად სკოლაში ირიცხება 683 მოსწავლე, მათ შორის 16 სსსმ მოსწავლე. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის მხრიდან მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - 900 მოსწავლეს.

- სკოლაში სულ 22 საკლასო ოთახია და 31 კლასი.
- პირველ ცვლაში 22-ივე ოთახი ათვისებულია
- მეორე ცვლაში საგაკვეთილო პროცესი იწყება 13:40 საათზე და სრულდება 18:55 სთ.-ზე. მეორე ცვლაში მხოლოდ 10 საკლასო ოთახია დაკავებული.

ექსპერტთა მიერ სკოლის ადგილზე დათვალიერების დროს დადგინდა:

სკოლას აქვს შემდეგი რაოდენობის მერხები და სკამები:

I დონე - 120 მერხი და სკამი

II დონე - 44 მერხი და სკამი

III დონე - 32 მერხი და სკამი

IV დონე - 60 მერხი და სკამი

V დონე - 100 მერხი და სკამი

VI დონე - 36 მერხი და სკამი

75 - ახალი მერხი და სკამი

რეზერვი, დასაწყობებული - 20 მერხი და სკამი.

სულ 487 მერხი და სკამი, რაც სკოლას შესაძლებლობას აძლევს 2 ცვლაში მოემსახუროს 900 მოსწავლეს. მიუხედავად ამისა, სკოლას 2026 წლის 08 აპრილს გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრში, შუამდგომლობას ითხოვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის შესაბამის სამსახურთან, რომ დამატებით მიიღოს 100 ერთეული მე-3 თაობის და 100 ერთეული მე-4 თაობის მოსწავლის მერხი. საკლასო ოთახები განთავსებულია N2 და N3 კორპუსების პირველ, მეორე და მესამე სართულზე. სკოლა სრულად ახალი რეაბილიტირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება. სკოლის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს იმ მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს, რაც საჭიროა სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ:

1. კათედრის ხელმძღვანელები მოიძიებენ წლის მანძილზე საჭირო რესურსების ჩამონათვალს.
2. თითოეული კლასის დამრიგებელი, სემესტრის დასრულებამდე შეიმუშავებს იმ რესურსების ნუსხას, რაც საჭიროა შესაბამისი საკლასო ოთახის აღსაჭურვად.
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებენ იმ ხელსაწყოების და ტექნიკის ჩამონათვალს, რაც საჭიროა აღნიშნული ლაბორატორიების გამართულად მუშაობისათვის. ამასთანავე სკოლას გაგზავნილი აქვს რესურსცენტრში ნუსხა ლაბორატორიის შევსებასთან დაკავშირებით.

4. ბიბლიოთეკარი, სკოლის მასწავლებლებთან ერთად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავებს იმ ლიტერატურის და პერიოდიკის ჩამონათვალს, რაც სასწავლო პროცესში იქნება გამოყენებეული მომავალ სასწავლო წელს, გარდა ამისა შეიმუშავებს იმ აქტივობების გეგმას რისი განხორციელებაც იგეგმება მომდევნო წელს
5. სპორტის მასწავლებლები შეიმუშავებენ იმ ინვენტარის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროა სპორტული დარბაზის და მოედნის აღსაჭურვად და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად
6. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენლები, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავებენ საჭირო ინვენტარის ჩამონათვალს. გარდა ამისა სკოლის მასწავლებლები და დირექცია, ყოველი წლის ბოლოს, შეიმუშავებენ იმ აქტივობების ჩამონათვალს რომელთა განხორციელებაც იგეგმება მომდევნო წლის განმავლობაში
7. სკოლის ექიმი მუდმივად ამოწმებს მედიკამენტების ვარგისიანობას და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს იმ მედიკამენტების ნუსხას, რომელთა არსებობაც აუცილებელია სამედიცინო კაბინეტში, გარდა ამისა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, განსაზღვრავს იმ ინვენტარის და ხელსაწყოების ნუსხას, რაც უზრუნველყოფს სამედიცინო კაბინეტის გამართულ ფუნქციონირებას
8. სკოლის დირექცია, თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და სკოლის საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებს იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ჩამონათვალს, რაც საჭიროა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

ექსპერტთა მიერ სკოლის ადგილზე დათვალიერების დროს დადგინდა:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ბიოლოგია-ქიმიის, ფიზიკის კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აქვს 66 ლეპტოპი, 11 პროექტორი, 8 პრინტერ-ქსეროქსი.
2. სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე მთელი ტერიტორია დაფარული იყო ინტერნეტით, რეაბილიტირებულ სკოლაში დაბრუნების შემდეგ, სკოლამ გააგზავნა წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან, რათა სკოლის მთელ პერიმეტრზე მოწყობილიყო ინტერნეტის ქსელი. ამ ეტაპზე სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. კერძოდ, სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.
3. ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება გრიფირებული სახელმძღვანელოებისგან და 28283 წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე

სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ბიბლიოთეკარი თანამშრომლობს სხვადასხვა კათედრასთან და მასპინძლობს კათედრების მიერ დაორგანიზებულ აქტივობებს, პროექტებს. მაგალითად, მიმდინარე წელს, ბიბლიოთეკარის ინიციატივით, წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებმა წაიკითხეს მათთვის საყვარელი წიგნები. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც წიგნები გატარებულია შემდეგი კრიტერიუმების თანახმად:

- საინვენტარო ნომერი;
- ავტორი და სათაური;
- გამოცემის წელი.

ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გაცემა-დაბრუნების ჟურნალს. წიგნები გატარებულია შემდეგი კრიტერიუმების თანახმად:

- წიგნის სათაური
- წიგნის ავტორი
- გატანის დრო
- დაბრუნების დრო
- ხელმოწერა (მოსწავლე; ბიბლიოთეკარი).

წიგნის გატანის მაქსიმალური ვადა 2 კვირაა. ბიბლიოთეკარი გაცემული წიგნების რეესტრს ელექტრონულად არ აკეთებს. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიება და გაცნობა. სკოლის ბიბლიოთეკართან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები. სკოლას აქვს სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკარი ვალდებულია (მუხლი 2.1.) მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება შეძლოს მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური ან ელექტრონული). ვინაიდან ვიზიტის დროს ბიბლიოთეკარმა ვერ წარმოადგინა საძიებო სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფს მკითხველის სწრაფ დაკმაყოფილებას,

სკოლას მიეცა **რჩევა,** რომ შექმნას ბიბლიოთეკარმა შექმნას მკითხველთა სწრაფი დაკმაყოფილების მიზნით წიგნების საძიებო სისტემა, სასურველია ელექტრონული ფორმატით.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ინდიკატორთან (3.5.1.1.) გაწერა N1 შენობასთან დაკავშირებული რეაბილიტაცია/დემონტაჟის საჭიროება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ვინაიდან აღნიშნული საკითხი შინაარსობრივად მიემართება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასა და ადამიანების ფიზიკურ დაცვას, საკითხის ანალიზი და მასთან დაკავშირებული შესაბამისობის გეგმის შეფასება დეტალურად არის წარმოდგენილი **3.4.1.1. ინდიკატორის** აღწერილობით ნაწილში.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებული.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებია:

1. კომპიუტერული ლაბორატორია
2. სამასწავლებლო
3. ბიბლიოთეკა
4. რესურსოთახი
5. სპორტული დარბაზი (რომელიც არასტანდარტული ზომებისაა, ჭერი ოდნავ დაბალია, თუმცა კალათბურთისა და ფრენბურთის თამაში მაინც შესაძლებელია).
6. მოედანი
7. სასადილო
8. სველი წერტილები

საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, რასაც მოწმობდა ადგილზე დათვალიერების დროს საერთო სარგებლობის სივრცეებში გამოკრული განრიგები და თანამშრომლეთაგან ინტერვიუირების დროს მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს და მიესადაგება ინკლუზიურ გარემოს:

1. სკოლის შიდა პანდუსები და გარე ლიფტი;
2. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი. რესურსოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით , აზიის ბანკის პროექტში გამარჯვების შედეგად გადაეცათ მაგიდა, სკამები, წიგნები და სათამაშოები, დაფით, კარადით, შესაბამისი ლიტერატურითა და საჭირო მასალით;
3. რესურსოთახისთვის ცალკეა გამოყოფილი კომპიუტერი და პრინტერი;
4. სკოლას აქვს ლიფტი;
5. პირველ, მეორე და მესამე სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები;
6. სკოლაში 16 სსსმ მოსწავლე, 3 სპეც. მასწავლებელი, 1 მეტყველების თერაპევტი და 8 ასისტენტ;.
   სპეც. მასწავლებლები განრიგი მიხ. ხვდებიან სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს. განრიგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას კონფიდენციალობის დაცვით (ინიციალებით);
7. სპეც. მასწავლებლები რესურსების საჭიროებებს ადგენენ და მიმართავენ ადმინისტრაციას. ადმინისტრაციაც გამოჰყოფს თანხას რესურსოთახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, მიმდინარე წელს შეიძინეს ლოტოები, სპეც. ლიტერატურა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სოციალიზაციის მიზნით სპეც. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ცხრავე კათედრის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა პროექტში. სპეც. მასწავლებლები მუშაობენ სტანდარტული განვითარების მოსწავლეებთანაც, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთა მიმღებლობა სასკოლო საზოგადოებას უფრო მეტად ჰქონდეს. მიმდინარე წელს, მაგალითად, სპეც. მასწავლებელთა დამხარებით, ზედა საფეხურის მოსწავლეებმა შექმნეს ბროშურები ცნობიერების ამაღლების მიზნით და გააცნეს სასკოლო საზოგადოებას. ინკლუზიური განათლების წარმატებით მიმდინარეობის დასტურია ის ფაქტი, რომ 7 წლის მანძილზე 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის გადაფასება მოხდა და მათ სპეციალური საჭიროების სტატუსები მოეხსნათ. ადმინისტრაციაც ზრუნავს სპეც. მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე. მიმდინარე წელს სპეც. მასწავლებლებმა მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას ქ. ზუგდიდში სამუშაო შეხვედრაზე

დასწრების მიზნით. სპეც. პედაგოგები დაესწრნენ სამუშაო შეხვედრას ცენტრში „ზღაპრული სამყარო“ - თემა: რესურსების დამზადება და გამოყენება.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამ მიზანს ემსახურება:

1. სკოლის სამკითხველო დარბაზი
2. გარე სპორტული მოედანი
3. სპორტული დარბაზი
4. სააქტო დარბაზის ფუნქციას ასრულებს მეორე სართულის ფოიე, რომელიც ფარდით გამოიყოფა ღონისძიების დროს სა ერთო სივრცისგან.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის გააჩნია ყველა საგნის კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისთვის:

1. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები
2. მხატვრული ლიტერატურა
3. ელექტრორესურსები
4. რუკები
5. პლაკატები
6. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *ინვენტარიზაციის მასალა*
- *2026 წლის 08 აპრილის წერილი რესურსცენტრს მოსწავლეთა მერხების დამატების თაობაზე*

შეფასება:
◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით.
სკოლაში კომპიუტერები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- კათედრას - 9 ც.
- რესურსოთახი - 1 ც.

- ლაბორატორია - 25 ც.
- სამასწავლებლო - 1 ც.
- ბიბლიოთეკა - 1 ც
- ადმინისტრაცია - 4ც.
- სასწავლო ნაწილს - 1 ც.
- ექიმს - 1 ც.
- მანდატურს - 1 ც.

  პროექტორები:
- რესურსოთახი - 1 ც.
- ლაბორატორია - 1 ც.
- სამასწავლებლო - 1 ც.
- ბიბლიოთეკა - 1 ც.
- დანარჩენი მოძრავია.

პრინტერ-პროექტორი:
რესურსოთახი - 1 ც.
დირექტორი - 1 ც.
სასწავლო ნაწილი - 1 ც.
ბიბლიოთეკა - 1 ც
ბუღალტერია - 1 ც.
საქმისმწარმოებელი - 1 ც.
საინფორმაციო მენეჯერი - 1 ც
მანდატური - 1 ც.

შესაბამისად, თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული რესურსის გამოყენებით სრულფასოვნად წარმართოს სასწავლო პროცესი და თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩაატაროს სხვადასხვა აქტივობა. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. შესაბამისად, სკოლა სრულფასოვნად აორგანიზებს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესს, მარტივად იღებს და ავრცელებს

სრულყოფილ ინფორმაციას სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. მოსწავლეებს შეუძლიათ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიძიონ.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას ინტერნეტი შეუზღუდავად და შეუფერხებლად მიეწოდება, რაც იძლევა საშუალებას ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა იყოს გამართული. სკოლაში დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები და ყველა კლასს და სამასწავლებლოს შეუფერხებლად მიეწოდება ინტერნეტი. სკოლას 2025 წლის 21 აგვისტოს გაგზავნილი აქვს წერილი განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის უფროსთან, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები ცენტრალიზებული WIFI-ს სისტემის აღდგენასთან დაკავშირებით. 2025 წლის 01 სექტემბერს სკოლაში მოვიდა პასუხი, რომ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმავენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. ამჟამად სკოლის პერსონალისთვის და მოსწავლეებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტურქტურა.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *წერილი განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის უფროსთან WIFI-თან დაკავშირებით.*
- *პასუხი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას 2023 წლის 23 ოქტომბერს დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება სკოლაში მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. სკოლის „საქმისწარმოების წესი" აწესრიგებს დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების შენახვისა და გამოყენებისთვის მომზადების საკითხებს. დოკუმენტბრუნვა მოიცავს 2 სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია.
დოკუმენტაციის მიღება ხდება ყოველი სამუშაო დღის 09:00 საათიდან 16:00 საათამდე. სკოლაში დოკუმენტაციის მოწოდების საშუალებებია: ფოსტა, დოკუმენტაციის უშუალო მოტანა. დოკუმენტაციის რეგისტრაციის შემდეგ კანცელარია ამოწმებს მისი დასაშვებობის საკითხს და გადასცემს საკითხის განხილვაზე უფლებამოსილ პირს.
სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმეების წარმოება.
საქმისმწარმოებელი აწარმოებს შემდეგი სახის ჟურნალებს:

- საერთო ბრძანებების ჟურნალი
- საკადრო ბრძანებების ჟურნალი
- შრომითი ხელშეკურლებების ჟურნალი

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი. ტექნიკური პერსონალის პირად საქმეებში მოცემული იყო სურათი, CV, დიპლომი, პირადობის ასლი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის საქმისწარმოების წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, რომელთაც უფლება აქვთ ოქმის წარმოების: პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა კლუბი, საგნობრივი კათედრები. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow, eschool.emis.ge, email.mes.gov.ge.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool.emis.ge) აქვს პროფილი. მასში ასახულია მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვა, მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება/აღდგენა, მოსწავლეთა მობილობა, მოსწავლის მიერ კლასის/სემესტრის დაძლევა, საგაკვეთილო ცხრილი, გრიფმინიჭიბული სახელმძღვანელოები, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, წარჩინებული მოსწავლეები და სხვა საჭირო ინფორმაციები.

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან და დროულად აწვდის მათ ინფორმაციას, ანგარიშს, უკუკავშირს. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი*
- *10 დეკემბრის ანგარიში.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით ასევე იყენებს:

1. სოციალურ ქსელს
2. სკოლის ფეისბუქგვერდს
3. საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს
4. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში საინფორმაციო დაფას.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის მიერ გაზიარებული ინფორმაცია სანდოა: მითითებულია წერილის ნომერი, კონკრეტული ორგანიზაცია. ასევე სკოლა ავრცელებს მხოლოდ საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებებს და ა.შ.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.

1. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ინფორმაციის გაცვლისას, უკუკავშირის მიღებისას იყენებს:

1. ელექტრონული ფოსტას
2. სოციალური ქსელს და დახურულ ჯგუფებს
3. Teams-სის პლატფორმას.

მიღებულ ინფორმაციას კანცელარია უგზავნის გასაანალიზებლად განხილვაზე უფლებამოსილ პირს.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის ფილოსოფია
- სკოლის სტრუქტურა
- შინაგანაწესი
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

- ინკლუზიური განათლების შესახებ მოკლე ინფორმაცია

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

3. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის ფილოსოფია
- სკოლის სტრუქტურა
- შინაგანაწესი
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შესახებ მოკლე ინფორმაცია

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ვებ-გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მის განხორციელებას. ბიუჯეტის შემუშავების დროს განსაზღვრულია შემოსავლები, ხარჯები, პრიორიტეტები. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.
2026 წლის შესყიდვებს 2025 წლის ნოემნრიდან იწყებს წინა წლის გამოცდილებით, დირექოტრთან ერთად გეგმავს ბიუჯეტს და შემდეგ შესყიდვებს. ტვირთავს შესყიდვების გეგმას. სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება, მცირე ნაწილი საიჯარო შემოსავლით ივსება (ცეკვის წრე) საჭიროებიდან გამომდინარე ბიუჯეტში ხდება ცვლილებების შეტანა და დამტკიცება.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სსიპ- მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს. თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ადგილზე ვიზიტის დროს დირექტორთან და სკოლის

ბუღალტერთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ წლიური შესყიდვების გეგმას ადგენს ბუღალტერი დირექტორთან ერთად . ინფორმაციას აგროვენებ თანამშრომლების ზეპირსიტყვიერი გამოკითხვით (კათედრის ხელმძღვანელისგან, სპეც. მასწავლებლებისგან). შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ: თანამშორმელთაგან ინფორმაციის შეგროვება მოხდეს წერილობითი ფორმით, სასურველია ეფლოუს გამოყენებით.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ბიუჯეტი*
- *ცეკვის შრომითი ხელშეკრულება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში შექმნილია სამართლებრივად გამართული და მოსწავლის უფლებებზე ორიენტირებული გარემო, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების როგორც ფორმალურ, ისე პრაქტიკულ რეალიზებას. შინაგანაწესი წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც ვრცელდება სკოლის ყველა სუბიექტზე და სავალდებულოა შესასრულებლად. მისი ხელმისაწვდომობა და დამრიგებლის ვალდებულება, სასწავლო წლის დასაწყისში გააცნოს იგი მოსწავლეებსა და მშობლებს, ხელს უწყობს ინფორმირებულობასა და ჩართულობას. ამასთან, შინაგანაწესი მოიცავს საჩივრის განხილვის მექანიზმებს, უსაფრთხოების წესებს, დისკრიმინაციის აკრძალვასა და წახალისების ფორმებს, რაც ქმნის სამართლიან და ღირსებაზე დაფუძნებულ გარემოს. შესაბამისად, დისციპლინა აღიქმება არა სანქციად, არამედ განვითარების მხარდამჭერ მექანიზმად. დამრიგებლის დებულება აძლიერებს ამ სისტემას პრაქტიკულ დონეზე. დამრიგებელი გვევლინება როგორც საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას, აკადემიური და პიროვნული პროგრესის მონიტორინგს და ეფექტურ კომუნიკაციას მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებლებს შორის. იგი ასევე ქმნის პარტნიორულ გარემოს და წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებს სკოლის დონეზე. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება კი აძლიერებს დემოკრატიულ ჩართულობას - თვითმმართველობა იცავს და წარმოადგენს მოსწავლეთა ინტერესებს, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ავითარებს პასუხისმგებლობის კულტურას. აღნიშნული დოკუმენტები ერთობლივად ქმნის სისტემას, რომელიც არა მხოლოდ იცავს, არამედ აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლის უფლებების, ღირსებისა და თვითგამოხატვის რეალიზებას.

ინდიკატორია 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან არხებს - საინფორმაციო დაფას, დამრიგებლის ინსტიტუტსა და ვებგვერდს - რეგულაციების ეფექტურად გასავრცელებლად. დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას შინაგანაწესისა და სხვა მნიშვნელოვანი წესების შესახებ, ხოლო შინაგანაწესის საჯარო ხელმისაწვდომობა ამ პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს. ამასთან, განსაზღვრული საჩივრის განხილვის მექანიზმები უზრუნველყოფს უკუკავშირს და მოსწავლეთა

აქტიურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქტიური მონაწილეები არიან. თვითმმართველობა იცავს მათ ინტერესებს, განიხილავს პრობლემურ საკითხებს და წარმოადგენს მათ ადმინისტრაციასთან, რაც ქმნის რეალურ პლატფორმას უფლებების პრაქტიკაში გამოყენებისთვის. სკოლაში მოქმედებს ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინფორმირებულობას, ისე მონაწილეობის შესაძლებლობას.

ინდიკატორია 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში (N36), რომელიც წარმოადგენს სამართლებრივად გამართულ და სანდო დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. ხელშეკრულება ორმხრივ და გამჭვირვალე პრინციპებზეა აგებული, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ისე მხარეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. აღსანიშნავია, რომ დამატებითი, სპეციფიკური მომსახურებების შემთხვევაშიც (მაგალითად, ცეკვის წრე), სკოლა ინარჩუნებს წერილობითი შეთანხმების ფორმატს (N38), რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების წინასწარ განსაზღვრულობას, პროგნოზირებადობასა და სანდოობას მშობლისთვის. მშობელთან გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება (N36) და დამატებითი მომსახურებების ხელშეკრულებები (N38) მკაფიოდ არეგულირებს იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სტატუსის ცვლილება. მშობლის მიერ ხელმოწერით ამ პირობების დადასტურება მნიშვნელოვნად ამცირებს გაურკვევლობისა და შესაძლო დავების წარმოშობის რისკს.

ინდიკატორია 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (2025 წ.);*
- *სასწავლო მომსახურების ტიპური ხელშეკრულება (N36);*

- *წრის მომსახურების ხელშეკრულება (N38).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციისთ დასტურდება, რომ მოსწავლის სტატუსის მართვის სამართლებრივი ჩარჩო სრულად შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. დაწესებულება მუშაობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად, რაც ინსტიტუციურ დონეზე მხარდაჭერილია დოკუმენტით (ბრძ. N1743623, 08.12.2025წ). სტატუსის მართვის მექანიზმები მოიცავს სტანდარტულ და სპეციფიკურ პროცესებს: ჩარიცხვის პროცესი დაფუძნებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაზე, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვას; საფეხურის დაძლევის კრიტერიუმები განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმაში და ახასიათებს პროცესის ობიექტურობას, გამორიცხავს ორაზროვნებას და ადასტურებს გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას. აღნიშნული რეგულაციები ადასტურებენ, რომ სკოლას გააჩნია მყარი ადმინისტრაციული და სამართლებრივი საფუძველი მოსწავლის აკადემიური სტატუსის უწყვეტობის, გამჭვირვალობისა და კანონიერების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორია 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დოკუმენტაციის შესწავლითა და ვიზიტის დროს გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის პრაქტიკული საქმიანობა ადასტურებს განსაზღვრული მექანიზმების სრულ და ზედმიწევნით განხორციელებას. მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული პროცესები - ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის ცვლილება - მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრევენციულ კომუნიკაციას: მშობლებს ინფორმაცია საფეხურის დაძლევის კრიტერიუმებისა და პროცესის შესახებ მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში, პირველივე მშობელთა კრებაზე. დამრიგებლის სამუშაო დებულების (მუხლი 11) საფუძველზე ხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, რაც უზრუნველყოფს საფეხურის დაძლევის პროცესის კონტროლირებადობას და გამჭვირვალობას. ნებისმიერი ცვლილება სტატუსში გამყარებულია სათანადო ბრძანებებითა და ოქმებით, რაც ადასტურებს მექანიზმების პრაქტიკულ ეფექტურობასა და სამართლებრივად გამართულ საქმიანობას.

ინდიკატორია 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ინსტიტუციური კულტურის ნაწილია. საგანმანათლებლო მომსახურების პირობები, მათ შორის დამატებითი სერვისების სპეციფიკა (მაგალითად, ქართული ხალხური ცეკვების წრე, N38 ხელშეკრულება), მკაფიოდ არის განმარტებული მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში. ხელშეკრულების მუხლი 11.1 განსაზღვრავს, რომ სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ქცევის წესების და სკოლის შიდა პოლიტიკის წინასწარ გაცნობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მომსახურების

სახეები და საფასურის პირობები (არსებობის შემთხვევაში) საჯარო და პროგნოზირებადია, რაც უწყობს ხელს ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორობის ჩამოყალიბებას სკოლასა და მშობლებს შორის.

ინდიკატორია 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ახორციელებს მრავალმხრივ საკომუნიკაციო სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ, თანაბარ და ხელმისაწვდომ გავრცელებას. ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია პირისპირ შეხვედრების, საერთო კრებებისა და ციფრული არხების (სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები) საშუალებით. გავრცელებული მასალა შეესაბამება ეთიკურ ნორმებს, არ არის დისკრიმინაციული და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა პერსონალი ინფორმაციას ავრცელებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რაც უზრუნველყოფს, რომ საზოგადოებას მიეწოდება მხოლოდ გადამოწმებული, განახლებული და ვალიდური მონაცემები.

ინდიკატორია 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბრძანება (N1743623, 08.12.2025წ) სტატუსის მართვის წესის შესახებ;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *N37მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერების,აღდგენის და შეწყვეტის წესი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება (N36) და დამატებითი მომსახურების ხელშეკრულება (N38);*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება (აკადემიური მონიტორინგის ნაწილში);*
- *სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის ჯგუფების აქტივობა;*
- *დამრიგებლის პორტფოლიო.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და „ტრანზიციის წესი“, რომლებიც უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლეების (მათ შორის მობილობით გადმოსული მოსწავლეებისა და პირველკლასელების) სასკოლო გარემოში ინტეგრაციის სისტემურ და თანმიმდევრულ პროცესს. აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ პროცედურებს, არამედ მოიცავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის მექანიზმებსაც. დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი ადაპტაციის პროცესის ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და მონიტორინგის ფორმები, მათ შორის დეადაპტაციის ნიშნების იდენტიფიცირების კრიტერიუმები და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ სკოლაში დანერგილია პრევენციაზე ორიენტირებული, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლო ბარიერების დროულ გამოვლენასა და მათ ეფექტურ აღმოფხვრას. სკოლაში არსებული პოლიტიკა და მისი განხორციელების მექანიზმები ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერ და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში ადაპტაციის პროცესი განხორციელებულია „ტრანზიციის წესისა“ და „ადაპტაციის წესის“ მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სისტემურ, თანმიმდევრულ და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას. დამრიგებელი პირველივე კვირებიდან ახორციელებს ახალი მოსწავლის გაცნობას კლასის გუნდსა და მასწავლებლებთან, აცნობს სკოლის შიდა წესებს, სწავლების მექანიზმებსა და კლასთან ინტეგრაციის აქტივობებს. პროცესში აქტიურად მონაწილეობს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის წინა აკადემიური გამოცდილებისა და ინდივიდუალური საჭიროებების დეტალურ გაცნობას. მიღებული ინფორმაცია ეხმარება დამრიგებელს და მასწავლებლებს შეიმუშაონ პერსონალიზებული სწავლების სტრატეგიები, მოერგონ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და უზრუნველყონ მოსწავლის უსაფრთხო, სწრაფი და ეფექტური ინტეგრაცია. მტკიცებულებებად მოიაზრება სადამრიგებლო პორტფოლიო, ინდივიდუალური სწავლების გეგმები, ფიდბექი მოსწავლისა და მშობლებისგან, რაც ადასტურებს პროცესის ეფექტურობას აკადემიურ და ფსიქო-ემოციურ დონეზე.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მხარდაჭერა სკოლაში სრულდება „სადამრიგებლო პროგრამის“ მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სისტემურ მონიტორინგს და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ჩარევას. დამრიგებელი რეგულარულად ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვასა და ანალიზს, რაც დოკუმენტირდება სადამრიგებლო ანგარიშებში. საჭიროების შემთხვევაში, დაბალი აკადემიური შედეგების ან ქცევითი სირთულეების გამოვლენაზე, სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალურ კონსულტაციებს მოსწავლესთან და მშობელთან, რაც ხელს უწყობს ეფექტურ გეგმების შემუშავებას და მიზანმიმართულ მხარდაჭერას. პროგრამა მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა „დღის რეჟიმის ორგანიზება“, „სწავლის მოტივაცია“ და თვითორგანიზაციის უნარების განვითარება, რაც პირდაპირ უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და სწავლის პროცესში აქტიური ჩართულობის გაზრდას.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსის მართვას, საბუთების წარმოებას და ოფიციალური ცნობების გაცემას დადგენილ ვადებში. ადმინისტრაციული პროცესები ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას და სკოლაში მოქმედ შიდა დოკუმენტებს, მათ შორის მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს (N36, N38) და შინაგანაწესს, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ მოსწავლის უფლებებს და მათი განხორციელების გზებს. სკოლა აგრეთვე პასუხს აგებს მოსწავლის უსაფრთხოებაზე და პერსონალური მონაცემების დაცვაზე, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული მხარდაჭერის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კომპონენტს. მტკიცებულებებად მოიაზრება შიდა რეგისტრაციები, ხელშეკრულებები, ოფიციალური შეტყობინებები და ადმინისტრაციული დოკუმენტაცია

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა აქტიუტრად უჭერს მხარს არაფორმალურ განათლებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ, შემეცნებით, სოციალურ და ზნეობრივ განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი „ბერმუხა“, რომელიც ატარებს გარემოსდაცვით, ინკლუზიურ და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის პროექტებს, მონაწილეობს სოციალურად დაუცველებისა და სათნოების სახლების დახმარებაში, აგრეთვე ორგანიზებას უწევს შიდა და რაიონულ სპორტულ შეჯიბრებებს. ინტელექტკლუბი „ევრიკა“ ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებით, ინტელექტუალურ და კომუნიკაციურ უნარებს, ატარებს ინტელექტუალურ თამაშებსა და შეჯიბრებებს. სკოლაში ასევე განხორციელდა პროფესიული ორიენტაციის პროექტი „მომავალი კარიერული გზა“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ, მონაწილეობა მიიღეს დისკუსიებში და გამოავლინეს საკუთარი ინტერესები. აღნიშნული აქტივობები ადასტურებს სკოლის სისტემურ დამოკიდებულებას აქტივობების წახალისებისა და არაფორმალური განათლების მიმართ.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უკუკავშირის მექანიზმი სკოლაში სისტემურად ხორციელდება მშობელთა კრებების, ინდივიდუალური შეხვედრების და სოციალური ქსელების საშუალებით, რაც საშუალებას აძლევს სკოლას მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პროგრესზე და გამოწვევებზე. დამრიგებლის პორტფოლიოში ასახული ანგარიშები, მათ შორის შეფასებები, მიმდინარე დავალებები და აკადემიური შედეგები, უზრუნველყოფს მშობლებთან თანამშრომლობის გამჭვირვალობას და საფუძველს უქმნის სასწავლო პროცესში კორექტივების შეტანას. აღნიშნული უკუკავშირი გამოიყენება როგორც აკადემიური, ისე სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტიანობის გასაზრდელად, ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესზე დაკვირვებას და მშობლების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (N40) და*
- *ტრანზიციის წესი (N41);*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *სადამრიგებლო სამუშაო გეგმა (Xგ კლასი);*
- *სადამრიგებლო პორტფოლიო (N39)*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება (N35)*
- *დამრიგებლის დებულება (N34);*
- *ეკოკლუბი ,,ბერმუხა";*
- *ეკოკლუბის დებულება;*
- *პროექტი პროფორიენტაცია;*
- *ხელშეკრულებები მშობლებთან (N36, N38).*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კარიერული განვითარების და პროფესიული თვითგამორკვევის სისტემურ მხარდაჭერას მყარ ინსტიტუციურ პარტნიორობასთან. სკოლას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ისე პროფესიულ კოლეჯთან - „იბერია“, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ორმხრივ ხელმისაწვდომობას აკადემიურ და პროფესიულ აქტივობებში. აკადემიური მიმართულება მოიცავს სემინარებსა და კონფერენციებს, ხოლო პროფესიული - სტაჟირებასა და პრაქტიკულ პროექტებს. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება როგორც სწავლების პროცესის, ისე სადამრიგებლო საქმიანობის ფარგლებში. მაგალითად, მე-10 კლასის პორტფოლიოში დოკუმენტირებულია მოსწავლეთა ჩართულობა ვიზიტებში ხონის მე-6 საარტილერიო ბრიგადაში და ტრენინგებში იურისტთა უმაღლესი სკოლის დამფუძნებელთან. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალფეროვან არჩევანს და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეისწავლონ სხვადასხვა პროფესიული გარემო, განავითარონ შესაბამისი უნარები და მიიღონ რეალური გამოცდილება სხვადასხვა პროფესიულ სივრცეში. ამრიგად, სკოლა თანმიმდევრულად პასუხობს სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის, პროფესიული თვითგამორკვევის, პრაქტიკული ჩართულობისა და ხარისხიანი გამოცდილების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს სისტემურ და მრავალარხიან კომუნიკაციას მოსწავლეებსა და მათი კანონიერ წარმომადგენლებისთვის, რათა მუდმივად ჰქონდეთ განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაცია ვვრცელდება როგორც ციფრული არხებით (სკოლის ვებგვერდი, საგნის მასწავლებლების გვერდები, სოციალური ქსელები), ისე პირადი კონსულტაციებით, რაც უზრუნველყოფს

მის ოპერატიულ და ხელმისაწვდომ გავრცელებას. სკოლის მიერ ინსტიტუციურად გაძლიერებული პარტნიორობა, მათ შორის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი კოლოქვიუმები და ტრენინგ-კურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეებს რეალურ წვდომას უმაღლესი განათლების სტანდარტებთან და პროფესიული თვითგამორკვევისთვის საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას. სადამრიგებლო ანგარიშები ადასტურებს, რომ დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას არა მხოლოდ აკადემიური მოსწრების, არამედ არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პროფესიულ განვითარებას. ეს უზრუნველყოფს მშობლების და მოსწავლეების ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და აქტიურ ჩართულობას კარიერული განვითარების პროცესში.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

წარმოდგენილინ დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის მართვა ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. მომსახურების შეფასების პროცესი ინსტიტუციურად გამყარებულია „დამრიგებლის მუშაობის დებულებით“ (მუხლი 11), რომელიც ითვალისწინებს სადამრიგებლო მუშაობის (მათ შორის კარიერული მხარდაჭერის) ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას სპეციალური კრიტერიუმების მეშვეობით. პრაქტიკულ დონეზე, მომსახურების ეფექტურობის ანალიზი ხორციელდება დამრიგებლის პორტფოლიოებისა (მტკიცებულება N39) და სემესტრული ანგარიშების საფუძველზე. მაგალითად, წარმოდგენილ ანგარიშში ხაზგასმულია მოსწავლეთა მაღალი ინტერესი და ჩართულობა ისეთ აქტივობებში, როგორიცაა ვიზიტი საარტილერიო ბრიგადაში და იურისტთა უმაღლესი სკოლის ტრენინგი. აღნიშნული უკუკავშირი საფუძვლად ედება მომდევნო პერიოდის დაგეგმვას; სკოლა აანალიზებს, რომელი ტიპის აქტივობები უფრო ეფექტურია მოსწავლეთათვის და ამის მიხედვით ახდენს სადამრიგებლო თემატიკის მოდიფიცირებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში ჩართულები არიან პარტნიორები. უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან მუშაობის შედეგების ანალიზი საშუალებას აძლევს სკოლას, დახვეწოს საორიენტაციო პროგრამები და ისინი მაქსიმალურად მიუსადაგოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და უმაღლესი განათლების სტანდარტებს. სერვისის გაუმჯობესება აისახება განახლებულ სადამრიგებლო გეგმებში, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების უწყვეტი ციკლი.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მემორანდუმი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან;*
- *მემორანდუმი კოლეჯ „იბერიასთან“);*
- *N34.დამრიგებლის დებულება;*
- *N39.ქეთევან კაკაბაძის სადამრიგებლო პორტფილიო;*
- *N49.სკოლის ფეისბუქგვერდი;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *N35. მოსწავლეთა-თვითმმართველობის-დებულება.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება ეფუძნება სისტემურ მიდგომას. დოკუმენტით „N43.სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო-სერვისების მიწოდების რეგულაცია“ განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა იდენტიფიცირების, სტატუსის მოპოვებისა და მომსახურების მიწოდების მკაფიო პროცედურები. რეგულაცია უზრუნველყოფს პროცესის კონფიდენციალობას (მუხლი 5) და ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების წესს. მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია ასახულია დოკუმენტში „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ისგ ჯგუფების შექმნის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასწავლო პროცესის მოდიფიცირების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 8) დამატებით აძლიერებს ამ მექანიზმს, რადგან სსსმ მოსწავლის მშობელს ანიჭებს სკოლის შენობაში სასწავლო პროცესის მსვლელობისასს ნებისმიერ დროს დაშვების განსაკუთრებულ უფლებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უსაფრთხოებასა და ადაპტაციას. აღნიშნული დოკუმენტური ბაზა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხარისხიან მართვას.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი სკოლაში ინტერდისციპლინურია. მომსახურების ხარისხის შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება დოკუმენტით „შიდა მონიტორინგის დასკვნა 2024-2025სასწ.წელი“, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლაში ირიცხება 17 სსსმ მოსწავლეა და მათთან მუშაობა მიმდინარეობს საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების მჭიდრო კოორდინაციით. თანამშრომლობის პრინციპი მკაფიოდ არის გაწერილი „N43.სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო-სერვისების მიწოდების რეგულაციაში“, რომელიც ავალდებულებს სპეციალურ მასწავლებელს, მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მოახდინოს მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიღწევების შესახებ. მონიტორინგის დასკვნა აჩვენებს, რომ სკოლა არა მხოლოდ ახორციელებს მიმდინარე მხარდაჭერას, არამედ აანალიზებს არსებულ გამოწვევებსაც (მაგ. ფიზიკური გარემოსა და რესურს-ოთახის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროება). სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ასევე დასტურდება ისგ ჯგუფების მუშაობით, სადაც თითოეული წევრი (მათ შორის მშობელი) მონაწილეობს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და პროგრესის შეფასებაში.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *N43.სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების-რეგულაცია;*
- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;*
- *შიდა მონიტორინგის დასკვნა 2024-2025სასწ.წელი;*
- *შინაგანაწესი;*
- *N40. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში, მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე, ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული (ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი) წრე. აღნიშნული მომსახურება წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმის მიღმა არსებულ საგანმანათლებლო-კულტურულ აქტივობას, მისი განხორციელება ა სრულად არის მოქცეული სკოლის მართვის სამართლებრივ ჩარჩოში. მომსახურების ლეგიტიმაცია დასტურდება დოკუმენტით „N38.ცეკვის წრეში გაერთიანებული მოსწავლის მშობელთან დადებული ხელშეკრულება.“, რომელიც გაფორმებულია სკოლასა და მშობელს შორის, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მომსახურების საგანი და პირობები.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი მომსახურების გაწევა ეფუძნება ნებაყოფლობითობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ქორეოგრაფიულ წრეში მოსწავლეთა ჩართვა ხდება მხოლოდ მშობლის წერილობითი თანხმობისა და ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გამორიცხავს ყოველგვარ იძულებით ხასიათს. მომსახურების პირობები (გრაფიკი, ანაზღაურების წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობები) შეთანხმებულია მომსახურების მიმღებთან (მშობელთან), რაც დასტურდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლით. წრის ფუნქციონირება პირდაპირ ემსახურება მოსწავლის ესთეტიკურ-კულტურულ

განვითარებას და ფიზიკურ გაჯანსაღებას, რაც სრულად შეესაბამება სკოლის მისიასა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებს.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დამატებითი მომსახურების მიწოდებისას სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს მოსწავლის უსაფრთხოებასა და მის საუკეთესო ინტერესებს. დოკუმენტში „N38 ცეკვის წრეში გაერთიანებული მოსწავლის მშობელთან დადებული ხელშეკრულება“ გაწერილია სკოლის ვალდებულება, წარმართოს სააღმზრდელო პროცესი ჯეროვნად. ამასთან, მომსახურების განხორციელებისას სრულად გამოიყენება „სსიპ მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლა- შინაგანაწესიით დადგენილი უსაფრთხოების ნორმები და ქცევის წესები. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც წრის მეცადინეობები ტარდება, შემოწმებულია და აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ და უსაფრთხოების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის დაცულ და მამოტივირებელ გარემოს.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულიადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *N38 ცეკვის წრეში გაერთიანებული მოსწავლის მშობელთან დადებული ხელშეკრულება“*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში მოქმედებს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც სისტემურად უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას. დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლები მკაფიოდ განსაზღვრავს ჩართულ მხარეებს (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) და მათი მონაწილეობის ფორმებს. მეთოდოლოგია ორიენტირებულია იმაზე, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ იყოს მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, არამედ ასახავდეს სკოლის სპეციფიკას, კონტექსტს, საჭიროებებსა და პრიორიტეტებს, რაც მიიღწევა კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების დონეზე გამოცდილების გაზიარებით. აღნიშნულის კიდევ უფრო გასამყარებლად, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლი განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ციკლს (შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა), რაც გულისხმობს მუდმივ უკუკავშირს და საზოგადოების ჩართულობას ყველა ეტაპზე. მეთოდოლოგია ეყრდნობა დიაგნოსტირების ინსტრუმენტებს, რომლებიც სასწავლო წლის დასაწყისში და სემესტრის განმავლობაშიც გამოიყენება მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების დასადგენად. კათედრის სხდომების ოქმები (N2 და N3) ცხადყოფს, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ გეგმავენ, არამედ აანალიზებენ სემესტრის შედეგებს, რაც საფუძველს უყრის მომავალი პერიოდის კურიკულუმის კორექტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და გამოვლენილი პრობლემების (მაგ. პროცენტის გამოთვლის სიძნელეები) გათვალისწინებით. მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრის №2 ოქმი (29.12.2025) ცხადყოფს, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ გეგმავენ, არამედ აანალიზებენ პირველი სემესტრის შედეგებს, რაც საფუძველს უყრის მომავალი პერიოდის კურიკულუმის კორექტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ კურიკულუმის განვითარების ციკლი (დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება) ეფუძნება წინა წლის გამოცდილების ანალიზს. მეთოდოლოგიის მე-8 მუხლის თანახმად, კურიკულუმი განიხილება როგორც „ცოცხალი დოკუმენტი", რომელიც მუდმივად ექვემდებარება რევიზიას სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. ეს უზრუნველყოფს, რომ პრიორიტეტები (მაგ: გარკვეული პროექტული სწავლება ან რესურსების შერჩევა) ითვალისწინებდეს მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესს. მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი პირდაპირ აცხადებს, რომ კურიკულუმის განვითარება ხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში, სადაც მშობელთა ჩართულობა ხორციელდება ინფორმირების გზით (საიტი, ელექტრონული ჟურნალი, დავალების ბარათები), სკოლის დამოკიდებულება და სპეციფიკა ვლინდება იმაში, რომ კურიკულუმში ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული პროექტები. კათედრის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები გეგმავენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა მაგალითად: „ლიტერატურული გაზეთი", რაც პირდაპირ პასუხობს მოსწავლეთა შემოქმედებით ინტერესებს. კურიკულუმის დაგეგმვისას პრიორიტეტი ენიჭება არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებას, არამედ მოსწავლეთა თვითრეალიზაციას (მაგ: საგნობრივი ოლიმპიადები და შემოქმედებითი ღონისძიებები), რაც ასახულია წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში. ასევე, ოლიმპიადებისთვის მზადების პროცესი კურიკულუმის ნაწილია, რაც პასუხობს მაღალი აკადემიური ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მაგალითად: კათედრის სხდომის N1 ოქმის მიხედვით, კურიკულუმის ნაწილებს (საგნობრივ პროგრამებს) შეიმუშავებენ კათედრის წევრები. მეთოდოლოგიის მე-6 მუხლი დეტალურად აღწერს მასწავლებლის ვალდებულებებს, ხოლო მე-7 მუხლი – კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებს, რომლებიც მიმართულია კოლეგიალური მუშაობის ორგანიზებაზე (სხდომების ფასილიტაცია, მასალების შეგროვება, შუამავლობა დირექციასა და პედაგოგებს შორის). ეს ნიშნავს, რომ კურიკულუმი არის თანამშრომლობითი შემოქმედების პროდუქტი და არა ერთპიროვნული გადაწყვეტილება. წარმოდგენილი

კათედრის სხდომების ოქმების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები ერთობლივად მსჯელობენ ინოვაციების დანერგვაზე (მაგ: N2 ოქმი – თანამედროვე მეთოდების დანერგვა; N3 ოქმი – სსსმ მოსწავლეების საჭიროებები). კურიკულუმის შემუშავებაში თითოეული მასწავლებლის წვლილი იკვეთება სემესტრული ანგარიშებისა და გეგმების ურთიერთშეთანხმების გზით, რაც გამორიცხავს ფორმალურ მიდგომას და უზრუნველყოფს შინაარსობრივ ჩართულობას. აღნიშნული დასტურდება კათედრებთან ჩატარებული ინტერვიუთი.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში მოქმედებს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასში აღწერილი კურიკულუმის გაზიარების მექანიზმი გამყარებულია კათედრის სხდომების ოქმებითა და დირექტორის ბრძანებებით. კერძოდ, მეთოდოლოგიის მე-5 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მშობელთა ჩართულობა ხორციელდება კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვის, ელექტრონული ჟურნალისა და შემეცნებითი დავალების ბარათების გაგზავნის გზით. მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი ხაზს უსვამს კავშირს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასა და აკადემიურ მხარდაჭერას შორის. კათედრის N1 ოქმის მიხედვით, დამტკიცებული კურიკულუმები (დანართი N6) და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ფორმდება დირექტორის ბრძანებით, რაც მათ ოფიციალურ და ხელმისაწვდომ სტატუსს ანიჭებს. კურიკულუმი ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ქმნის საერთო პასუხისმგებლობის განცდას სასწავლო მიზნების მიღწევაში. აღნიშნული დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“;*
- *კათედრის დებულება;*
- *კათედრის სხდომის ოქმი N2 (23.10.2025);*
- *კათედრის სხდომის ოქმი N3 (30.12.2025);*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები (VII, VIII, X კლასები) ;*
- *დავალებების პირობები (VII, VIII, X კლასები);*
- *კათედრის სხდომის ოქმი N1 (02.09.2025);*

- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;*

2.1.2. ურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი შინაარსი (დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, აქტივობები) ასახავს სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის აქტიური კონსტრუირებას, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმში, შერჩეული შემოქმედებითი დავალებები საკითხებთან შესაბამისობაშია.შემოქმედებითი პროდუქტი (საინფორმაციო ბუკლეტი.ესე,პრეზენტაცია ,სტატია,კედლის გაზეთი და ა.შ) კონტექსტ-მაგალითები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგონ ახალი ცოდნა ,აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში,განუვითარდეთ შემოქმედებითი და ფუნქციური უნარები **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, გერმანული, რუსული) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის

	დაგეგმვისა და განვითარების გზას; კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს კურიკულუმებს. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმი მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. სწავლის სამივე საფეხურზე შემუშავებულია ისეთი თემატური ბლოკები, თემები შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. **რჩევა:** საბაზო საფეხურზე მე-8 კლასის მუსიკის კურიკულუმში გასათვალისიწნებელია დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრული საათების რაოდენობასთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებულ კურიკულუმებში მოსწავლეთა მზაობის, შესაძლებლობის, ინტერესების მიხედვითაა დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები, რომელთა განხორციელება მოსწავლეთა შინაგან ძალებს გააქტიურებს. მრავალფეროვანი დავალებები მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას აღძრავს და განაწყობს, სიძნელეებს გაუმკლავდნენ, უკვე არსებული ცოდნა და გამოცდილება გააქტიურონ. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები.ასევე გათვალისწინებულია რძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობები,თუ პროექტი,რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი.წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდატებს. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თავსართი იყოს ერთნაირი. ამ თემაზე პედაგოგებთან საუბრის დროსაც გამახვილდა ყურადღება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნებში I-VI კლასის ჩათვლით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგიის კურიკულუმში წარმოდგენილ შინაარსში ჩანს მკაფიო კორელაცია სამიზნე ცნებას, თემასა და საკითხებს შორის, სწორად არის მოცემული სავალდებულო თემების ჩამონათვალი, სამიზნე ცნებები, მოცემული საკითხები იძლევა თემის ფარგლებში ცოდნის კონსტრუირების საშუალებას, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო მიზნით განსაზღვრული შედეგებისკენ. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.

	შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კერძოდ, სასწავლო პროექტები „ივანე შარაშიძე -ხონის დიდი მეცენატი“ გეოგრაფიაში-„შავი ოქრო“ და სხვა)მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლებს განუვითარდეთ თანამშრომლობის პროებლემის გადაჭრის,კომუნიკაციის ემპათიის ,აქტიური მოსმენის უნარები **რჩევა:** XII- კლასის ისტორიის და საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში , თემები გაიწეროს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული, გერმანული დაწყებითი,საბაზო) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში თემები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, თემატური ბლოკების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება, შუალედურ მიზნად მოაზრებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, კერძოდ: მოსწავლეები აქტივობების შესრულების დროს აფასებენ ქმედებებს, მონაწილეობენ დისკუსიაში, აკავშირებენ ნასწავლთან თუ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, ადგენენ კანონზომიერებებს. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ეფექტურად ემსახურება გრძელვადიან მიზნებს.

	ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში ასახულია მიზნები და მისაღწევი შედეგები, დავალებები მიზნის შესაბამისადაა შედგენილი. გამიჯნულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სასწავლო რესურსი მიზანმიმართულადაა შერჩეული. შეთავაზებული დავალებები მოსწავლეთა მთლიანპიროვნულ განვითარებას ემსახურება. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას;რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული

	თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. შემოქმედებითი პროდუქტებში ჩანს მოსწავლეების შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარების გზები. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, სახელმწიფო ენის** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში

	ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში, სკოლაში არსებული, კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები (სახელმძღვანელოები, მულაჟები, ფიზიკისა და ქიმიის ინვენტარები და სხვა.) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, სკოლას აქვს ლაბორატორია, რომლის დახმარებითაც პედაგოგები მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფას ცდილობენ. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. **რჩევა** - საგანში „ მე და საზოგადოება“ სასურველია ელექტრონული რესურსები ჰიპერლინკის სახით იყოს წარმოდგენილი.

	ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (რუსული,გერმანული) მასწავლებლები, წლის დასაწყისში მსჯელობენ კურიკულუმების განვითარებასთან დაკავშირებით, აჯამებენ საკუთარი კლასების მიღწევებს და საჭიროებებს; საუბრობენ საკუთარ საგნობრივი კურიკულუმების განვითარების მიმართულებებზე. ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და შეიმუშავებენ მომავალი წლის საგნობრივ კურიკულუმებს; ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში.განსაზღვრავენ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობას კლასების მიხედვით და განიხილავენ დიაგნოსტირების ფორმას . ადგენენ სამოქმედო გეგმას კერძოდ, გეგმავენ პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს, პროფესიული ზრდისთვის ღონისძიებებს. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსებით - გრიფირებული სახელმძღვანელოებით სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, ასევე ელექტრონული ბმულებით, შესაბამისი რესურსების შერჩევით- აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვით შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისი რესურსების გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აუდიო-ვიდეომასალა, რომელთა მიზნის შესაბამისად გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებასა და საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. საგნობრივი კურიკულუმების დანართში, რომელიც შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის პროცესს ასახავს, გრაფიკული მაორგანიზებლები, სქემებია წარმოდგენილი, რაც მოსწავლეებს ინფორმაციის თანმიმდევრულად და მთლიანად აღქმაში დაეხმარებათ. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები ,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.ასევე დადგინდა ,რომ სკოლას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სამივე საფეხურზე სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები.

	ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის, მათემატიკისა და **ბუნებისმეტყველების** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები.

	რჩევა: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღვროს დასახელება, მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია. **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში, კურიკულუმით განსაზღვრული, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, აღნიშნული სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც პროცესს ხდის ინკლუზიურს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური სასგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. სადაც კარგად ჩანს როგორ ახდენს მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უნარების განვითარებას და ცოდნის მიღებას, მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შექმნილია ეკოკლუბი, ინტელექტუალური კლუბი. კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი

	ტიპის დავალებების პირობა და ფორმა იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მოსწავლეს აქვს არჩევანის შესაძლებლობა თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით გააკეთოს დავალება,შექმნას პროდუქტი.მაგალითად მოსწავლეს შეუძლია კომიქსი შექმნას ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, ან შეასრულოს ხელით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს როგორ იყენებენ მასწავლებლები საინტერესო და მრავალფეროვან რესურსებს ,რათა მოსწავლეს განუვითარდეს სხვადსხვა უნარები. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენენბის კათედრის მიერ წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; უცხოური ენების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კურიკულუმში მოცემული დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური წერების საშუალებით ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართავენ სათანადო ინტერვეციებს. კათედრაზე განხორციელებული პროექტები ეხმარება მოსწავლეებს არაფორმალური განატლების გზით ესგ-ს გრძელვადიან მიზნების მიღწევაში. კათედრას აქვს ინდივიდუალური გემით სწავლების პრაქტიკა. კათედრა ახალისებს მოსწავლეთა ჩართულობას კონფერენციებში. მასწავლებლები ესწრებიან სასწავლო ტრენიგებს, მიღებულ ცოდნას იყენებენ სასწავლო პროცესში და უზიარებენ კოლეგებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავის უნარის, გამოცდილებისა და

	ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. დავალებები მრავალფეროვანია და ეყრდნობა მოსწავლის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში ასახულ დავალებებზე მუშაობა თითოეული მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას გულისხმობს. სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის დამატებითი რესურსები და აქტივობებია გათვალისწინებული. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას . თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. მათემატიკის კურიკულუმი, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ

	მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც იქნას შეტანილი ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება, რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

	დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრაზე თითოეულ საგანში შემუშავებულია შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მისი კომპონენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (10 ქულიანი), აგრეთვე განმავითარებელი შეფასება შესაბამისი რუბრიკებით. შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. **განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში (საგანში - ჩვენი საქართველო, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან), თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან

	მიმართებით შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, *საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების* მიხედვით. • დაკონკრეტებულია საკითხებთან მიმართებით; • თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონა აქვს მინიჭებული • შეფასების რუბრიკა მოიცავს ყველა სამიზნე ცნებას, ან ფოკუსირებულია მხოლოდ რამდენიმე მათგანზე. **რჩევა** - საბაზო საფეხურზე X კლასში, საგანში -მოქალაქეობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელ და განმავითარებელს. გამავითარებელი შეფასება ხორციელდება 1-4 კლასში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ხოლო განმსაზღვრელი შეშეფასება გამოიყენება მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-12 კლასის ჩათვლით. შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლაში განმავითარებელი შეფასების წარმოება ხდება ზეპირი და წერითი უკუკავშირით როგორც წერილობითი კომენტარი, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭირვალეობას, სანდოობას. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების ობიექტურობას. **რჩევა:** *სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურზე განსაზღვრელი შეფასების სისტემა კორელაციაში იყოს სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან და თემის ინდიკატორებთან. ასევე სასურველია შეიმუშაონ ყველა საფეხურზე კონკრეტული დავალების / აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები.* **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების კრიტერიუმები შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებს შეესაბამება და დავალების პირობის შესაბამისად დაკონკრეტებულია. **რჩევა** (დაწყებითი საფეხურისთვის): მიზანშეწონილია, მე-6 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში დავალების პირობასა და შეფასების კრიტერიუმებს შორის მიმართება დაზუსტდეს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია როგორც საგაკვეთილო პროცესისათვის, ისე გრძელვადიანი მიზნებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის

	განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზუსტად ამოწმებს დავალების მოთხოვნას განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას ეძლევა **რჩევა:** - დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების) სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე მომზადებული, დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ეფექტურად გამოყენების მიზნით, გააქტიურდეს პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობა კათედრაზე, სკოლამ იზრუნოს შეფასების მექანიზმის ეფექტურობისათვის პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე; **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- *კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;*
- *კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;*
- *კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურისთვის სახელმწიფო ენაში;*
- *როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები სამივე საფეხურისთვის;*
- *დანართის სახით მოწოდებული თემატური დაგეგმვის ნიმუშები სამივე საფეხურისთვის;*
- *კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;*
- *შემოქმედებითი პროდუქტები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
- *შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა (ფეისბუქ გვერდი);*

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

- *უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა.*
- *დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალა*
- *უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (ინგლისური ენის ,რუსული ენის,გერმანულის დაწყებითი,საბაზო.) კურიკულუმები*
- *მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები*
- *განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი*
- *უცხოური კათედრის კათედრის წევრების პორტფოლიოები*

- *კათედრაზე განხორციელებული პროექტების რეფლექსიები*
- *პროფესიული განვითარების ტრენინგების სერტიფიკატები*
- *კოლეგებთან ცოდნა-გამოცდილების გაზიარების რეფლექსია*
- *კურიკულუმებში ჩაშენებული მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი*
- *შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი*
- *კათედრის დებულება*

ესთეტიკური აღზრდა:

- *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
- *ურთიერთშეფასება, თვითშეფასება*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზები*
- *კათედრის ოქმები*
- *მოსწავლის ნამუშევრები და შეფასება*
- *ფოტომასალა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნემისმეტყველო საგნებში, საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროცესები დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მასწავლებლებლთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კეთდება ანალიზი, ითვალისწინებენ სკოლის ძლიერ მხარეებს და გამოწვევებს მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია სადაც ნათლად არის გაწერილი კურიკულუმის განვითარების ფაზების კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგი და შეფასების, გადასინჯვა, რევიზიის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. ამის დასტურია ასევე წრმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე; საგნობრივი კურიკულუმები; - საგანმანათლებლო

	რესურსი(ძირითადი და დამატებითი სახელმძრვანელოები, ლიტერატურა; ელ.რესურსი) ,მოსწავლის შედეგების შეფასების რუბრიკები. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა; **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა ნამუშევრები, ფოტომასალა, განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. იგეგმება კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება, განსაზღვრულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგები, მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგები, მუშავდება მონაცემები და ცვლილებები აისახება კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილ რეაგირებას. სკოლაში კურიკულუმი გააზრებულია, როგორც „ცოცხალი დოკუმენტი", რაც გულისხმობს სასწავლო გეგმის მუდმივ ადაპტაციას მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან. სკოლას გააჩნია აქტივობების ბანკი/რესურსი, რაც საშუალებას იძლევა, დაგეგმილი პროცესის შეფერხების შემთხვევაში, მოხდეს გეგმის ოპერატიული ჩანაცვლება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის მართვა არ უნდა ხდებოდეს ფორმალურად, არამედ მოსწავლის ინტერესებიდან და ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოქნილი, ადაპტირებადი და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან, მშობლებთან და კათედრებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე მოსწავლეთა შეფასების გაზიარების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების აქტიური პრაქტიკა გამოიკვეთა სკოლას გააჩნია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, შეფასების რუბრიკები, ამგვარად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემაში შეფასების პრინციპები სათანადოდ ინტეგრირებული სასწავლო პროცესში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებულია მიზნობრივად კრიტერიუმები მიზნობრივად არის გაწერილი საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში

	ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. კათედრას წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი. დიაგნოსტიკური წერის ანალიზი; რუბრიკა არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელიც ცხადყოფს რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, უმეტესწილად არის მრავალფეროვანი ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. ***რჩევა:*** *სასურველია გაითვალისწინონ, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანსა და მუსიკაში შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები აღწერდეს მოსწავლის მიღწევებს ცნებებთან, ქვეცნებებთან, შესასწავლ თემასთან და დასამუშავებელ საკითხთან მიმართებაში.* **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	შეფასება ხდება მრავალი სხვადასხვა ფაქტორისა და წყაროს გათვალისწინებით. აქვთ ანგარიშის ფორმები, ხდება მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, მოსწავლეებთან ინტერვიუთი მოიპოვებენ ინფორმაციას და სათანადო მეთოდებით ამუშავებენ. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა უმეტესწილად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებული ინსტრუმენტები და კრიტერიუმები მეტწილად ადეკვატურად ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, ხოლო შეფასების პროცესი ძირითადად გასაგები და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის. მიუხედავად ამისა, სასურველია შეფასების მექანიზმების უფრო მეტად ერთგვაროვანი გამოყენება და განმავითარებელი უკუკავშირის გაძლიერება, რათა სისტემა სრულად და თანმიმდევრულად აკმაყოფილებდეს ყველა კრიტერიუმს. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები. შეფასება ზუსტად ასახავს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს.

	ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების და განხორციელების სიხშირეს შესახებ. წარმოდგენილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების“ დოკუმენტის შესწავლისას სკოლას ეძლევა **რჩევა:** „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი/მუხლი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა ამავე მუხლში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის

	დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის წამომადგენელი. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის მიერ შემუშავებულია და დამტკიცებულია „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი“, რომელიც მეთოდოლოგიურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის შემოწმების მექანიზმს. წესის მიხედვით, ვერიფიკაციის პროცესი სამი მიმართულებით განხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც წინასწარ შეიმუშავებს დეტალურ გეგმას. წესით გათვალისწინებული ვერიფიკაციის ეტაპები მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ შეფასებას ვალიდურობის თვალსაზრისით, მტკიცებულებათა საკმარისობისა და ფიზიკურად არსებობის შემოწმებას, ასევე შეფასების პროცესში მოსწავლის წინასწარი ინფორმირების, დროის, გარემოსა და აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასებას. ვერიფიკაციის შედეგად მომზადდება დასკვნა, რომლის საფუძველზეც შეიმუშავება სამოქმედო გეგმა გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. პირველადი ავტორიზაციის კონტექსტში, სკოლა აღნიშნული მეთოდოლოგიის ფაქტობრივ დანერგვას იწყებს მიმდინარე პერიოდიდან, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურ მონიტორინგს და ხარისხის კონტროლს. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი და საფეხურების კურიკულუმები აღწერს შეფასების პრინციპებს, ტიპებს (განმავითარებელი, განმსაზღვრელი), შემაჯამებელი დავალებების ფორმებსა და აღდგენის წესს, რაც ვერიფიკაციის მექანიზმის ამოქმედების საგნობრივ საფუძველს წარმოადგენს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მოქმედი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ცალსახად განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მასალების შენახვის ვადებსა და პირობებს. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ვერიფიკაციის ჯგუფი ამოწმებს მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობას, იდენტიფიცირების შესაძლებლობასა და საკმარისობას. ამასთან, საფეხურების კურიკულუმებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) „მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემის“ ნაწილში ცალსახად არის მითითებული: „სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.“ ეს დებულება ვრცელდება ყველა საფეხურზე (VII-X კლასების კურიკულუმში, XI-XII კლასების კურიკულუმში იგივე ფორმულირებით არის მოცემული). აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ შეფასების მტკიცებულებები (მათ შორის, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები, ანგარიშის ფორმები) ინახება დადგენილი ვადით, რაც აუცილებელია როგორც ვერიფიკაციის პროცესისთვის, ასევე მოსწავლის აკადემიური ისტორიის აღდგენისა და ხარისხის კონტროლის მიზნებისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- „შეფასების ვერიფიკაციის წესი“.
- კათედრის სხდომის ოქმი N1 (02.09.2025);
- კათედრის სხდომის ოქმი N2 (23.10.2025);
- კათედრის სხდომის ოქმი N3 (30.12.2025);
- სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი.\

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კათედრის ანგარიში;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა.
- დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალა
- უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (ინგლისური ენის ,რუსული ენის,გერმანულის დაწყებითი,საბაზო.) კურიკულუმები
- მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები
- განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- უცხოური კათედრის კათედრის წევრების პორტფოლიოები
- კათედრაზე განხორციელებული პროექტების რეფლექსიები
- პროფესიული განვითარების ტრენინგების სერტიფიკატები
- კოლეგებთან ცოდნა-გამოცდილების გაზიარების რეფლექსია
- კურიკულუმებში ჩაშენებული მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- დიაგნოსტიკური წერის ანალიზი
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი
- კათედრის დებულება

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში არსებული რესურესების (სახელმძღვანელო. ელექტრონული რესურსები და სხვა) სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. საჭიროებისამებრ ქმნიან სასწავლო რესურსებს,

	რათა უფრო საინტერესო, ნაყოფიერი და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი , დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე ძირითადად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს შესაბამისი აუდიო და ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებელი დინამიკი, პროექტორი. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივ კურიკულუმებში ასახული და გამიჯნულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს , ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე.დადგინდა რომ სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის.ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.სკოლა დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს.

	ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა: დაწყებითი** საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე განიხილება/განისაზღვრება დამხმარე სასწავლო რესურსები, რომელთა ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სასწავლო ელექტრონულ რესურსებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულია დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლის ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კათედრას გააზრებული აქვს სასწავლო რესურის ვალიდურობის საკითხი. კათედრაზე განხილული და მიზანმიმართულად შერჩეული აქვთ სანდო და ხარისხიანი, დავალების

	შესაბამისი დამატებითი სასწავლო რესურსები _ აუდიო-ვიდეომასალა, გრაფიკული მაორგანიზებლები, ტექსტები. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე (დანართი 2) კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის

	მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **დაწესებულებას ეძლევა რჩევა:** სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება. **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არსებობს, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის საგნებში შედარებით მარტივი კვლევითი სამუშაოების ჩატარებისთვის აუცილებელი ინვენტარი, მატერიალური რესურსები, სივრცე სადაც თავმოყრილია მოცემული რესურსები, სკოლას აქვს ლაბორატორია, უზრუნველყოფს ექსპერიმენტული სამუშაოების ჩატარებას, მის ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. **რჩევა:** სასურველია სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცის იმგვარი მოწყობა, რომლის პირობებში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს თავად ექნებათ საშუალება მოცემულ სივრცეში მიიღონ მონაწილეობა ლაბორატორიულ სამუშაოებში.

	ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, მასწავლებლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. ასევე ქმნიან დამატებით სასწავლო რესურსებს, რათა უფრო ნაყოფიერი, საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი კომპიუტერები, ინტერნეტი და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სათანადო გარემოა შექმნილი სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის. ხელმისაწვდომია როგორც ინტერნეტი, ისე მონიტორი, პროექტორი და სხვა სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახი შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ სასწავლო რესურსი (სათამაშო ინვენტარი). შეუძლიათ ყველა მოსწავლე იყოს დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამისია კლასში მოსწავლეთა რაოდენობის. რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესი სრულფასოვნად წარმართვას.

	ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიებს. **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. დოკუმენტაციის რევიზიით დასტურდება, რომ სკოლაში დაკავებული პოზიციები სრულად შეესაბამება მათ კვალიფიკაციას. თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში მოწესრიგებულია და დაცულია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომები), სერტიფიკატები და სტატუსის მინიჭების შესახებ შესაბამისი აქტები. სკოლის მიერ შერჩეული ადამიანური რესურსი თავისი კომპეტენციითა და რაოდენობრივი მაჩვენებლით უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ეფექტიან იმპლემენტაციას. მასწავლებელთა პროფესიული სტატუსების მაღალი წილი (განსაკუთრებით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების სიმრავლე) ქმნის მყარ საფუძველს სასწავლო პროცესის ხარისხობრივი მხარდაჭერისთვის. სპეციალური მასწავლებლებისა და შესაბამისი პროფილის სპეციალისტების არსებობა კი ადასტურებს სკოლის მზაობას, სრულფასოვნად განახორციელოს ინკლუზიური განათლების პრინციპები.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- *კურიკულუმი 1-6; 7-10; 11-12 კლასები ფოზიკური აღზრდა და სპორტი;*
- *კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;*
- *კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *კათერის ანგარიში;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ.წ.;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები*
- *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა.*

- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.*
- *უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი*
- *გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა.*
- *დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალა*
- *უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი (ინგლისური ენის ,რუსული ენის,გერმანულის დაწყებითი,საბაზო.) კურიკულუმები*
- *მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი დავალებები*
- *განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*

- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი*
- *უცხოური კათედრის კათედრის წევრების პორტფოლიოები*
- *კათედრაზე განხორციელებული პროექტების რეფლექსიები*
- *პროფესიული განვითარების ტრენინგების სერტიფიკატები*
- *კოლეგებთან ცოდნა-გამოცდილების გაზიარების რეფლექსია*
- *კურიკულუმებში ჩაშენებული მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსები~*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები*
- *დიაგნოსტიკური წერის ანალიზი*
- *შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი*
- *კათედრის დებულება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლით განსაზღვრული პროცესების შესაბამისად. მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების ოთხ ეტაპს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია. მე-9 მუხლის მიხედვით, მონიტორინგი პასუხობს კითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები, ხოლო შეფასება - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. კათედრის სხდომების ოქმების (N1, N2, N3) ანალიზი აჩვენებს, რომ მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება კათედრის დონეზე, სადაც განიხილება სემესტრის შედეგები, შემაჯამებელი დავალებების დიაგნოსტირება და სსსმ მოსწავლეებთან მიღწეული შედეგები. მე-8 მუხლის თანახმად, დირექტორის მოადგილე კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ დირექტორის მიერ ჩატარებული საგაკვეთილო დაკვირვება შეფასების ფორმებით (რუსული ენა, ინგლისური ენა) და მასწავლებელთა თვითშეფასება/ურთიერთშეფასება ადასტურებს, რომ მონიტორინგი მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგთა ურთიერთშეფასებას, რაც სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიას.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ხარვეზების გამოვლენით, არამედ განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს. „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლის თანახმად, პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე და პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ინოვაციების დანერგვის პერსპექტივას. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც სრულყოფილად აისახება ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა, რომელიც პრობლემატური საკითხების მოგვარებისკენ იქნება მიმართული. კათედრის N3 ოქმში ასახული შემაჯამებელი დავალებების ანალიზით გამოვლენილი ტიპური პრობლემები (მაგ: პროცენტის გამოთვლის სიძნელეები, პითაგორას თეორემის ათვისების პრობლემები) პირდაპირ უკავშირდება კურიკულუმის განვითარებისთვის შემოთავაზებულ აქტივობებს. დირექტორის შეფასების ფორმებში მითითებული რეკომენდაციები (მაგ: ინდივიდუალური მიდგომის გაძლიერება, დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება) წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზებს. აღნიშნული სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია არა სადამსჯელო ფუნქციაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მასწავლებლები, მოსწავლეები, სსსმ მოსწავლეები) მხარდაჭერასა და დახმარებაზე. „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-6 მუხლის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურ მხარდაჭერას. კათედრის N3 ოქმში ცალკე საკითხად არის განხილული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მოსწავლეებთან მიღწეული შედეგები, რაც ცხადყოფს, რომ მონიტორინგი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა შემდგომი განვითარებისთვის. ასევე, დირექტორის შეფასების ფორმებსა და მასწავლებელთა თვითშეფასებაში აქცენტი კეთდება

ინდივიდუალური მიდგომის, სუსტი მოსწავლეების ჩართვის, განმავითარებელი შეფასებისა და მოსწავლის პიროვნების მხარდაჭერის საკითხებზე. ურთიერთშეფასების ფორმები კი აჩვენებს, რომ მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ეხმარებიან პროფესიული უნარების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია";*
- *ვერიფიკაციის წესი;*
- *კათედრის სხდომის ოქმი N3 (30.12.2025);*
- *დირექტორის შეფასების ფორმები;*
- *მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმები;*
- *ურთიერთშეფასების ფორმები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასების პროცესი ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევების მრავალმხრივ და ობიექტურ შეფასებას. საფეხურების კურიკულუმების „მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემის" მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალება. შემაჯამებელი დავალებების ფორმები მრავალფეროვანია – ესე, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა, პრეზენტაცია, დისკუსია, ნახატი, ფესტივალი და სხვა. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის" მე-4 მუხლი ითვალისწინებს მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის, იდენტიფიცირებისა და საკმარისობის შემოწმებას, რაც გულისხმობს, რომ შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან (წერილობითი, ზეპირი, პრაქტიკული) მტკიცებულებებს. კათედრის N3 ოქმში ასახული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის

ფორმები („ანგარიშის ფორმა“) აჩვენებს, რომ მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ სხვადასხვა წყაროდან. დირექტორის შეფასების ფორმები, მასწავლებელთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება წარმოადგენს შეფასების დამატებით წყაროებს, რომლებიც არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ პედაგოგთა საქმიანობის შეფასებასაც ემსახურება. ამრიგად, შეფასება ეყრდნობა მოსწავლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის ამსახველ მრავალფეროვან წყაროს, რაც ხელს უწყობს მიღწევების უფრო ობიექტური და სრული სურათის შექმნას. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება ასევე საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მოქნილად მოერგოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სწავლის სტილს.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ შეფასების პროცესი სკოლაში არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო გარემოთი, არამედ ითვალისწინებს მრავალ კონტექსტს. საფეხურების კურიკულუმებში აღწერილი შემაჯამებელი დავალების ფორმები მოიცავს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომლებიც მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. „სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში“ ჩამოთვლილი არაფორმალური განათლების აქტივობები (პროექტები, ოლიმპიადები, შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები, ექსკურსიები, საქველმოქმედო აქციები, ინტელექტუალური თამაშები, პროფესიის გაცნობის შეხვედრები) ქმნის დამატებით კონტექსტებს მოსწავლეთა შეფასებისთვის. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (ქორეოგრაფიული წრე, ეკოკლუბი, ლიტერატურული კლუბი, სტემ კლუბი) ფარგლებში მოსწავლეები ფასდებიან არაფორმალურ გარემოში. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-3 მუხლი მოითხოვს შეფასების პროცესში გარემოს, აღჭურვილობისა და მასალების ადეკვატურობის შეფასებას, რაც ადასტურებს, რომ კონტექსტი გათვალისწინებულია. შესაბამისად, შეფასება არ არის დამოკიდებული მხოლოდ საკლასო აქტივობებზე, არამედ ითვალისწინებს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სხვადასხვა კონტექსტს, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს ცოდნა სხვადასხვა სიტუაციაში გამოავლინოს. კონტექსტების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მოსწავლის რეალური კომპეტენციების უფრო ზუსტად შეფასებას. აღნიშნული ასევე დასტურდება მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-4 მუხლი განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ შეფასებას ვალიდურობის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს, რომ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები (ტესტები, პრაქტიკული დავალებები, პროექტები). საფეხურების კურიკულუმებში ჩამოთვლილი შემაჯამებელი დავალების ფორმები (წერითი, ზეპირი, პრაქტიკული, ინდივიდუალური, ჯგუფური) ასახავს მონაცემთა შეგროვების მეთოდების მრავალფეროვნებას. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ შეფასების ინსტრუმენტი რელევანტური იყოს სწავლის შედეგის დადასტურებისათვის ყველა კრიტერიუმის მიხედვით, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. კათედრის N3 ოქმში ასახული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები აჩვენებს, რომ მასწავლებლები იყენებენ როგორც რაოდენობრივ (ქულები, პროცენტები), ასევე თვისობრივ (აღწერილობითი ანალიზი, ტიპური პრობლემების იდენტიფიცირება) მეთოდებს. სკოლაში ასევე გამოიყენება დეტალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისთვის (მაგ., VII კლასის რუსული ენის რუბრიკა წერილობითი დავალებისთვის, VIII კლასის ინგლისური ენის რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის), რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. გარდა ამისა, სკოლაში სისტემატურად ტარდება დიაგნოსტიკა („ანგარიშის ფორმები“), რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის დონის, პრობლემების გამოვლენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება, რაც გავლენას არ ახდენს მოსწავლის შეფასებაზე, მაგრამ წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. შესაბამისად, სკოლაში შეფასების პროცესი გამოირჩევა მონაცემთა შეგროვების მეთოდების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს როგორც წერით, ისე ზეპირ და პრაქტიკულ დავალებებს, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას, ასევე რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. დეტალური შეფასების რუბრიკების არსებობა უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობასა და კრიტერიუმულობას, ხოლო სისტემატური დიაგნოსტიკა („ანგარიშის ფორმები“) საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს მოსწავლეთა სირთულეები და დაიგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით და კათედრებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ნიშნებით, არამედ მოიცავს სასკოლო გარემოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებასა და უკუკავშირს. „კრიტიკული მეგობრის“ და ურთიერთდასწრების პრაქტიკა უკვე აპრობირებულია და ხელს უწყობს პროცესზე დაკვირვებას ბუნებრივ გარემოში. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-3 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ იგი ითვალისწინებს შეფასების დროს, გარემოს, გამოყენებულ მასალებსა და აღჭურვილობას. ასევე, „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი მოითხოვს, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად იყოს შეფასებული (ობიექტურობა). „სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას. კათედრის N3 ოქმში ცალკე საკითხად არის განხილული სსსმ მოსწავლეებთან მიღწეული შედეგები, რაც ადასტურებს, რომ შეფასებისას გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფაქტორები. დირექტორის შეფასების ფორმებსა და მასწავლებელთა თვითშეფასებაში ასახულია ინდივიდუალური მიდგომის, სუსტი მოსწავლეების ჩართვის, დიფერენცირებული მიდგომის გამოყენების საკითხები. ამრიგად, შეფასების პროცესი სკოლაში მაქსიმალურად არის მორგებული სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებზე, რაც გამოიხატება როგორც ერთიანი, სტანდარტიზებული პირობების შექმნით ყველა მოსწავლისთვის, ასევე ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (სსსმ) ალტერნატიული და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. სხვადასხვა ფაქტორის (დრო, გარემო, მასალები, ინდივიდუალური შესაძლებლობები) გათვალისწინება ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის რეალური ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“;*
- *ვერიფიკაციის წესი;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი.*
- *კათედრის სხდომის ოქმი N3 (30.12.2025);*
- *დირექტორის შეფასების ფორმები;*
- *მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმები;*
- *ურთიერთშეფასების ფორმები.*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *მასწავლებელტა ურთიერთდასწრება;*
- *კრიტიკული მეგობარი;*
- *დიაგნოსტიკური წერები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტის - „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლის თანახმად, კურიკულუმის განვითარების ციკლი მოიცავს შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგს/შეფასებას და გადასინჯვას/რევიზიას. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება პრობლემების გამოვლენა და საჭიროებების იდენტიფიცირება. „მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრის ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გზით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც აისახება პრობლემატური საკითხების მოგვარების აქტივობები. კათედრის N3 ოქმში წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში გამოვლენილი ტიპური პრობლემების საფუძველზე (მაგ: პროცენტის გამოთვლის სიძნელეები, პითაგორას თეორემის ათვისების პრობლემები, მწირი ლექსიკა, მოდალური ზმნების უღლება, კუთვნილებითი ნაცვალსახელების არევა) ყალიბდება რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომში გათვალისწინებულ იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის განვითარებისას. ამ რეკომენდაციების ერთობლიობა წარმოადგენს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც მოიცავს როგორც საგნობრივ (ლექსიკის გამდიდრება, გრამატიკული კატეგორიების შესწავლა), ასევე მნიშვნელოვან (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა) საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმის სრული ერთწლიანი ციკლი (შემუშავება-დანერგვა-მონიტორინგი-გადასინჯვა) ჯერ დასრულებული არ არის, პირველი სემესტრის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით უკვე გამოვლინდა კონკრეტული საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რაც წარმოადგენს კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტის საფუძველს. ამ რეკომენდაციების შესაბამისად, სკოლამ პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ უკვე შეიტანა ცვლილებები მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმში, რაც ადასტურებს სისტემის მოქნილობას და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარს.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლაში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა წლის გამოცდილების ანალიზს და მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ მე-9 მუხლის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მეთოდოლოგიის მე-9 მუხლის „დ) გადასინჯვა და რევიზია“ პუნქტის თანახმად, მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ინოვაციების დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. მიმდინარე სასწავლო წელს უკვე დაგროვილია მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც აისახება კათედრის სხდომების ოქმებში (N1, N2, N3) – განხილულია პირველი სემესტრის შედეგები, შემაჯამებელი დავალებების დიაგნოსტირება, სსსმ მოსწავლეების მიღწევები. საგნობრივი კათედრების ოქმებში წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზით გამოვლენილი ტიპური პრობლემები,რაც უკვე გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის განვითარებისთვის შემოთავაზებულ რეკომენდაციებში. მიუხედავად იმისა, რომ სრული ციკლი არ არის დამთავრებული, სკოლას უკვე აქვს არსებული გამოცდილება, რაც საფუძველს უყრის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შემუშავებას.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“;*
- *ვერიფიკაციის წესი;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი.*
- *საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები;*
- *დირექტორის შეფასების ფორმები;*
- *მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმები;*
- *ურთიერთშეფასების ფორმები.*
- *შეფასების რუბრიკები;*

- *მასწავლებელტა ურთიერთდასწრება;*
- *კრიტიკული მეგობარი;*
- *დიაგნოსტიკური წერები;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 18.05.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მაკა მამფორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანნა ბედენაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ხატია კაჭარავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ფანცულაია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ირინე ჯანაშია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ორმოცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.